პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული.
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19.

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 254 შაბათი, 4 ნოემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 254

დღიური

— ალბანეთში დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა. მთავრობა გაიქცა, ხოლო მისი ჯარები ალყაშემორტყმულნი არიან რევოლიუციონური ჯარებისაგან.

— ამიერიდან ატამანის იმპერიის მაგივრად გამოცხადებულია ოსმალეთის ხელმწიფო, ანგორის მთავრობის ამ ნაბიჯს ევროპას პრესა უცქერის როგორც რესპუბლიკის გამოცხადების აქტს.

— საბერძნეთის უმაღლესი სასამართლო ამ დღეებში შეუდგება ყოფილ მეფე კონსტანტინეს და მისი მინისტრების გასამართლებას.

ქ. ტფილისში ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის მომწყობ ცენტრალურ კომისიისაგან

ამ წელში არის ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის დღესასწაული. ეს დღესასწაული განსაკუთრებულ საზეიმო პირობებში ტარდება: 7 ნოემბერს იხსნება კომუნისტურ ინტერნაციონალის 4 კონგრესი, რომელზედაც პირველად ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მოხსენებით გამოდის ამხ. ლენინი. კონგრესი აწარმოებს მუშაობას მოსკოვში—მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ამ ცენტრში, რომლის ირგვლივ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს გაერთიანების სურვილი აქვთ.

7 ნოემბერი შეიქნება ყველა მშრომელთა გაერთიანების და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის დღეთ.

ზეიმისათვის ფართო ხასიათის მისაცემად, ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა იუბილე იდღესასწაულოს სამი დღე 5, 6 და 7 ნოემბერს.

სადღესასწაულო ზეიმის გეგმა:

1) 5 ნოემბერი—მუშათა და წითელ არმიელთა დაახლოების დღე. დღისით—მუშების და წითელ-არმიელების მიერ ყაზარმებში და წარმოებებში მისვლა-მოსვლა ცხოვრების და მისი პირობების გასაცნობად.

საღამოს—მუშების, წითელ არმიელების და შეფების გაერთიანებული სხდომები.

დაახლოების ორგანიზაცია ეკისრება რაიონებს და წითელ არმიელთა ნაწილებს.

2) 6 ნოემბერი—აგიტაციის დღე.

დღის პირველ საათზე საწარმოო დაწესებულებებში და წითელ არმიელთა ნაწილებში მიტინგები თემაზე: „ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავი“.

საღამოს რაიონულ და წითელ არმიელთა კლუბებში რევოლიუციონურ მოგონებათა და პოლიტიკურ გასამართლებათა საღამოები.

3) 7 ნოემბერი—მიტინგები რაიონებში, ალლუმი და ზეიმი.

დაწესებულებებში და წარმოებებში თავის მოყრა დილის რვა საათზე. თავმოყრის შემდეგ მიდიან რაიონულ მიტინგის ადგილზე, სადაც თავს იყრიან სათანადო სამხედრო ნაწილებიც. მიტინგები გაიხსნება დილის 9 საათზე.

პირველი რაიონი: დილის 9 საათზე მიტინგი „ნაძალადევის“ მოედანზე. მარშრუტი: ნაძალადევის მოედანი, ჩერქეზოვის ქუჩა, ელისაბედის ქუჩა, სადგურის ქ. დიდუბის მოედანზე შეხვედრით.

მეორე რაიონი: მიტინგი ჩერქეზოვის მოედანზე თამბაქოს „კომეტა“-ს ფაბრიკასთან.

მარშრუტი: ჩერქეზოვის მოედანი, ჩერქეზოვის ქუჩა, ვორონცოვის ხიდზე შეხვედრით, მიხაილოვის ქუჩა მუშტაიდით დიდუბეში.

მესამე რაიონი: მიტინგი კახეთის მოედანზე მესამე რაიონულ კომიტეტთან.

მარშრუტი: კახეთის მოედანი, ციციანოვის აღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, მიხაილოვის პროსპ., მუშტაიდით დიდუბეში.

მეოთხე რაიონი: მიტინგის ადგილი რუსთველის პროსპექტი, ვერის დაღმართი და ხიდი, პლეხანოვის პროსპექტი, მუშტაიდით დიდუბეში.

ყველა რაიონებში პროცესიის მსვლელობის შემდეგი წესია მიღებული: წინ ორკესტრი და წითელ არმიელთა ნაწილები, შემდეგ მუშათა ორგანიზაციები.

მთელი გეგმის შესრულების მიზნით ყველას ევალება თავის დროზე მოვიდეს დანიშნულ ადგილზე.

რაიონულ მიტინგების მოწყობა ეკისრება რაიონულ კომიტეტებს.

სიტყვებით გამოდიან პასუხისმგებელი ორგანიზატორები (რაიკომებიდან), კავკასიის ცალკე არმიის წარმომადგენელნი.

ალლუმი დანიშნულია დიდუბეში დილის 11 საათზე. ცუდი ამინდის შემთხვევაში ალლუმი გადატანილი იქნება რუსთველის პროსპექტზე, ცხენების ჯირითი მოხდება მახლობელ სადღესასწაულო მზიან დღეს.

ალლუმზე სიტყვებით გამოვლენ: ამხ. ორჯონიკიძე, ეგოროვი, ორახელაშვილი, ვრაჩევი, მიასნიკოვი, ელიავა, ლომინაძე და კახიანი მ.

ალლუმის გათავების შემდეგ ცხენების სპორტი (დოღი, ჯირითი და სხვა).

საღამოს ყველა თეატრებში, კლუბებში, კინოებში უფასო წარმოდგენები.

4) ბავშვებისათვის: 6 ნოემბერს 5 საათიდან ყველა კინოებში უფასო სეანსები; 7 ნოემბერს 12 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში საოპერო წარმოდგენა და ხუთი საათიდან უფასო სეანსები ყველა კინოებში.

5) ბილეთების განაწილება მოზრდილთათვის მოხდება პროფკავშირების და წითელ არმიელთა ნაწილების საშუალებით. ბავშვთათვის—პროფკავშირების, სკოლების და ბავშვთა სახლების საშუალებით.

6) ყველა სანახაობათა დაწვრილებითი პროგრამა დაბეჭდილი იქნება განსაკუთრებულ აფიშებში.

ქ. ტფილისში ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგების

ს ი ა

პირველი რაიონი.

1. მთავარი სახელოსნოები—ელიავა—დღის 12 საათზე.
2. დეპო—რუბენ—დღის 12 საათ.
3. გზის სამსახურის მე 6 რაიონი—ლეჟავა—დღის პირველ საათზე.
4. რკინის გზის მართველობა—კახიანი—1 საათზე.
5. საქონლის სადგური—მჟავანაძე—1 საათზე.
6. საავადმყოფო—ფუქსი.
7. დამკვრელი რაზმი, საგანგებო რაზმი, მილიცია—როხლინი, ქავთარაძე—12 საათზე.
8. ტიპო-ლიტოგრაფია—გოლდბაუმი—12 საათზე.
9. ამიერ-კავკასიის ცენტრ. სატრ. საზოგ., რკინის გზელთა პროფკავშირი—ნიკიტინი—12 საათზე.
10. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება (ეტპო), გარაჟი—ჩხენკელი—1 საათზე.
11. ლითონის და ღვიდების ქარხანა—(ელისაბედის ქ. № 119)—ივანოვი—12 საათზე.
12. არსენალი—ორჯონიკიძე—12 საათზე.
13. ტრამვაი, (მუშტაიდის პარკი № 8)—რუბენი (ქართულ ენაზე)—დილის 6 საათზე.
14. სეილანოვის და ენფიაჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა (ელისაბედის ქუჩა № 125)—ნაზაროვი—დღის 12 ს.
15. სახ. სასურს. კომისარიატის ცენტრ. საწყობი, (ელისაბედის ქ. № 133)—ბალტინი—12 ს.
16. კომეტა, ავტო-ნაწილი, საკერავი სახელოსნო და ალზიორა (რეუტოვის ქ. № 33)—ტაკოევი, ქორიძე—დღის 12 ს.
17. საავადმყოფოები— (პლეხანოვის პროსპ.) ფრანგულიანი—საღამოს 6 საათზე.
18. ტრამოტის და მუშათა მთლიანი კოოპერატივის ცენტროგარაჟი (კიროჩნი ქ. № 7)—პიდერინი—საღ 6 ს.
19. ხე-ტყის სამხედრო ქარხანა—(მადატოვის კუნძული)—არუტიუნიან. მიქაძე—დღის პირველ საათზე.
20. ელექტრონის სადგური (ელექტრონის ჩიხი დიდი მთავრის ქ.)—მოკაძე,—დღის 2 ს.
21. ცეცხლის მქრობელი რაზმი (ნიკოლოზის და ფეიერვერკის ქ. კუთხე)—ლიოზოვსკაია—დილის 9 ს.
22. წყალსადენის სახელოსნოები (კიროჩნი და ჩერქეზოვის ქ.)—ყურულოვი—დღის 2 ს.
23. საბავშო სახლები და მუშათა ცენტრალური კლუბი (მიხ. 123)—ორახელაშვილი მარია—დღის პირველ საათზე.
24. გაერთიანებული მილიცია (მიხაილოვის პროსპ. № 113) ობარინოვი—დღის 12 საათზე.
25. აბრეშუმის სადგური, ობსერვატორია, ცხენების მომშენებელი ქარხანა, სამაზრო სამხედრო კომისარიატი (მიხაილოვის ქ. მუშტაიდთან)—აკოპოვი—დღის 1 საათზე.
26. კოლოფის ქარხანა, დასახიჩრებული მეომრები (დიდი მთავრის ქ. № 28)—სამუილოვი—დღის 1 ს.

მესამე რაიონი.

27. ქარხანა „მირ“ (ვარდისუბანი)—კასიანი.
28 ფაბრიკა „კავკაზ“ კასიანი.
29 ქარხანა „ქრომას“, დაღ. № 15.
30. სამხედრო პურის საცხობი ფურნე პეტროპავ ქ. № 18. 31. სასურსათო მაღაზია—ატანშეკოვი და ვარტაპეტიანი.
32. ადელხანოვის ქარხანა (ვორონცოვის ქ. № 80. 33. ზარგრიანცის ქარხანა. 34. ბასენცოვის ქარხანა. 35. მთავარარის ქარხანა. 36 მახმუდოვის ქარხანა. 37. ზლოტგორსკის ქარხანა. 38. „ტოლე“ ქარხანა (ვორონც № 119)—ხანოიანი და ნარიმანოვი.
39 კუზნერის ქარ. (ვორონ. № 58).
40. საწარმოო „დარგები“—ჯულელი და ალი-ტაგი-ზადე.
41. ქალ. საბ. საავადმყოფო (ყოფილი არამიანცის)—გოგიბერიძე.
42. ქალაქის სასაკლაო (ნავთლუღი), 43. სადგ. ნავთლუღი, 44. ქართ. ბრიგადის საბ. საწ. და ხოშტარიას ქარხანა (ნავთლუღში)—ვირაპი და რუხაძე.
45. პირველი ქართული პოლკი—ქავთარაძე (პოკროვ № 1).
46. საგანგებო დანიშნულების რაზმი—ქავთარაძე (კახეთის № 25).
47. ქალაქ წისქვილი (ორთაჭალა), 48. ბაბადანოვის წისქვილი—ორახელაშვილი.

მეოთხე რაიონი.

49. ქალაქის ფურნე და საფაროვის ქარხანა (წისქვილის შესახვ. № 3)—ტერტეროვი და ნუცუბიძე—დღის 1 საათზე.
50. მეტყევეთა კავშირი (პროფკ. მუშათა სასახლე მე-5 სართული)—სოკოლოვსკი—დღის 1 საათზე.
51. თამბაქოს ქარხანა ყოფ. ბოზარჯიანცისა და ფაბრიკა „ასანთი“ (ოლღ. № 75)—კვირიკაძე და ამასი—დღის 1 საათზე.
52. მზეჭდავნი (საერთო კრება)—ვირაპ, კახიანი—დღის 2 საათზე.
53. ქარხანა „ტემზა“—ყამარაული, ცაბაძე—დღის 1 საათზე.
54. სახ ქალ. დამამზ. ექსპედ.—ბიბინეიშვილი—საღ. 7 საათზე.
55. ცეცხლ. მქრ. რაზმი—დუმბაძე, გურსკი.
56. ნარკომატების საერთო კრება—ერქომაიშვილი—დღ. 1 საათზე.

6 ნოემბერს დილის 10 საათზე.

57. წით. უნივერს. (გრიბოედოვის ქ. № 22)—ქავთარაძე.
58. მე-9 პოლკი (ნავთლუღი)—ორახელაშვილი.
59. სამოსწ. კადრის პოლკი (სემინარია)—ორჯონიკიძე.
60. კ. მარქსის სახელ. კლუბი (მიხაილოვის პროსპ. № 73—მიასნიკოვი.
61. საინჟინერო ბატ. (ანტ. ქ. ყოფილი კუკიის ყაზარმები)—კახიანი.
62. არსენალის რაიონი—ლომინაძე.

საქართვ. წითელი არმია.

63. სამხედრო სკოლა (ერმ. ქ. №8) ხუთ ნოემბერს, ორახელაშვილი—დილის 10 საათ.
64. 1 პოლკი (ავლ. ყაზარმები) 6 ნოემბერს—კალანდაძე—საღ. 7 საათზე.
65. წითელ-არმიელთა ცენტრალური კლუბი—ქავთარაძე—საღ. 7 საათ.
66. სამოსწ. ბათ. (ნიკოლ. № 51) 7 ნოემბერს—ლეჟავა—საღ. 7 საათზე.
67. საინჟ ბატალიონი (საპიორის ქ. № 21.)—6 ნოემბერს—ნუცუბიძე გალ.—საღ. 7 საათზე.
68. ცხენოსანთა პოლკი (ავლაბარი, კოშევის ქარხნ. პირდ.)—6 ნოემ.—ქავთარაძე—დილის 10 სააათზე.
69. საარტილ. დივიზიონი, (დიდი მთავრის ქ. № 26) 5 ნოემ., ერქომაიშვილი—საღ. 6 საათზე.
70. სადარაჯო ბრიგადა (ჩერქ. ქ. № 59) 5 ნოემ.—ცინცაძე—საღ. 7 ს.
71. ესკადრილია (ნავთლუღი, აეროდრომი)—6 ნოემბერი—მახარაძე, დილ. 10 ს.

ყველა დასახელებული ამხანაგები თავის დროზე გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილზე. იაჩეიკების მდივნებმა და ადგილკომებმა წინასწარ შეუთანხმდნენ ამხანაგებს.

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო საგიტაციო განყოფილება.

დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

იტალიაში

იტალიაში დატრიალებულ ამბებს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, და ეს იმიტომ, რომ ფაშისტების გამარჯვება უდიდეს გავლენას მოახდენს როგორც იტალიის, ისე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებაზე. ამასთან ეს ფაქტი გამაფრთხილებელია მსოფლიოს მუშათა კლასის, რომელსაც თავაშვებული რეაქცია უპირებს სისხლში ჩახრჩობა', მეორე მხრივ ის წარმოადგენს თვალსაჩინო გაკვეთილს, რომელმაც უნდა გამოაფხიზლოს რეფორმისტების მიერ პროლეტარიატის ნაწილის ჯერ კიდევ დაბნელებული კლასობრივი შეგნება იმ დამღუპველ ილუზიებიდან, თითქო მუშათა კლასს შეეძლოს ცხოვრების გარდაქმნა და თავის ინტერესების დაცვა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ნიადაგზე. ასეთი ილიუზიებით კვებავდნენ მუშათა კლასს კერძოდ იტალიის „სოციალისტები“, და, სხვათა შორის, ამით აიხსნება შავი რეაქციის ასე იოლად გამარჯვება იტალიაში და ის სამარცხვინო მოვლენაც, რომ ფაშისტების ორგანიზაციებში მუშებიც ურევიან. მთელი წლობით სოც.-გამცემლები ჩასჩიჩინებდნენ პროლეტარიატს ბურჟუაზიასთან სამოქალაქო ზავის ლოზუნგებს, ისინი ადუნებდნენ მის რევოლიუციონურ ენერგიას. როცა 1920 წელში მუშათა სტიქიურ მოძრაობამ იფეთქა იტალიაში და მათ ბევრ ალაგას ხელთ იგდეს ფაბრიკა-ქარხნები, ბურჟუაზია ვერ მოახერხებდა მათ დამარცხებას, რომ მას არ მიშველებოდნენ მისი აგენტები—სოციალ მოღალატენი, რომელთაც შეაკავეს მუშები ასეთ გადაჭრილ მოქმედებიდან და ხელი შეუწყვეს დაწყებული რევოლიუციის ლიკვიდაციას.

ამ საშიშროებამ ბურჟუაზიისათვის განვლო, რის შემდეგ ის შეუდგა მზადებას ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ ასეთი მოვლენები არ განმეორებულიყო. მან ამ მიზნით მთელ იტალიაში მოაწყო შეიარაღებული ორგანიზაციები—ფაშისტების ორგანიზაციები, რომელნიც სისტემატიურ და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ მუშათა ყოველგვარ გამოსვლების წინააღმდეგ. იტალიის უკანასკნელი წლების ისტორია აღბეჭდილია სისხლის მღვრელი ბრძოლებით ფაშისტებსა და მუშებს შორის. ხოლო როცა ბურჟუაზიამ ამ ბრძოლებში დაასუსტა მუშათა კლასი, როცა მან იგრძნო საკმაო ძალა, ეხლა გადავიდა გენერალურ შეტევაზე, რის შედეგად მივიღეთ ფაშისტების განუსაზღვრელი დიქტატურის დამყარება იტალიაში. ამგვარად, თავის სრულ ლოღიკურ დასკვნამდე მივიდა ის შეთანხმებელი პოლიტიკა, რომელსაც იმ თავითვე ადგნენ სოციალ-რეფორმისტები; ვინაიდან ცხადია, რომ „შეთანხმება“ და „თანამშრომლობა“ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის თავისი დასრულებული გამოხატულებით შესაძლებელია მხოლოდ როგორც მუშათა კლასის სრული დამონება ექსპლოატატორთა მიერ. ამის საუკეთესო დადასტურებაა იტალიის ამბები ჩაიგდო თუ არა მუსოლინიმ მთელი ძალა-უფლება ხელში, მან აშკარად გადაშალა ბურჟუაზიის სამოქმედო პროგრამა. მან, სხვათა შორის განაცხადა, რომ „იტალიამ ბევრ ხანს არ უნდა იხილოს გაფიცვები“ ო. გამარჯვებული ექსპლოატატორთა კლასი ართმევს პროლეტარიატს ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებულ ელემენტარულ უფლებებს, ისეთსაც კი, როგორიცაა გაფიცვის უფლება. ბურჟუაზიის განუკითხავი ბატონობა ექსპლოატაციის განუსაზღვრელი თავისუფლება მას, ხოლო უსიტყვო მორჩილება მუშების მხრით,—აი მუსოლინის პროგრამა.

არა ნაკლები საყურადღებოა მისი საგარეო პოლიტიკა. იგი უაღრესად იმპერიალისტურია, მუსოლინი ოცნებობს იტალიის ტერიტორიის გაფართოებაზე, იტალიის „პრესტიჟის აღდგენაზე“. კერძოდ აღსანიშნავია მუსოლინის საგარეო პოლიტიკის ერთი მუხლი: „იტალიის ფართე მონაწილეობა გერმანიიდან მისაღებ კონტრიბუციაში“. მუსოლინს სურს თავის ქვეყნის ბურჟუაზიის შერყეული ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორება არა მარტო მუშათა ზურგიდან მაქსიმალურ შესაძლებლობათა ამოქაჩვის გზით არამედ ისედაც განადგურებულ გერმანიის ხარჯზედაც.

მაგრამ საკითხავია, შესძლებენ კი ფაშისტები ასეთ რეაქციონურ შინაურ და იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას? ამის პასუხს ჩვენ გვაძლევს ის სისხლის მღვრელი შეტაკებები, რომელიც ხდება იტალიაში. მუშათა კლასი ფეხზე დამდგარია უკანასკნელ ამბების გამო და ის ძალას იკრებს, რათა მისცეს დროებით გამარჯვებულ რეაქციას საპასუხო ბრძოლა. ეს ბრძოლა, როგორც ვთქვით, უკვე წარმოებს. ჯერ ჯერობით მუშათა გამოსვლებს აქვს განცალკევებული, პარტიზანული ხასიათი, მაგრამ მდგომარეობა მბრძანებლობით უკარნახებს მათ ერთიანი ფრონტით დარაზმვას და საყოველთაო კონტრ-შეტევის დაწყებას. მართლია, მუსოლინის მთავრობა სასტიკ რეპრესიებს აწარმოებს, რათა ძირშივე ჩაკლას მუშათა მოძრაობა, მისი ავაზაკური ხელი კერძოდ მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც ხელმძღვანელობენ მუშების გამოსვლებს. ახალმა ხელისუფლებამ დაანგრია კომუნისტური გაზეთის რედაქცია, ის ახდენს ჩვენი ამხანაგების და აქტიურ მუშების მასიურ. დაპატიმრებას, მაგრამ, ეჭვი არ არი, ბრძოლაში გამობრძმედილ კომუნისტურ პარტიას ვერ გასტეხს, ვერავითარი რეპრესიები, და ის ღირსეულად შეასრულებს გადამწყვეტ ბრძოლისათვის მუშათა კლასის დარაზმვის საქმეს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლაში რეაქციის წინააღმდეგ იტალიის მუშათა კლასი მარტო არ არის. ფაშისტების გამარჯვება იტალიაში უსათუოდ იპოვის გამოეხმაურებას სხვა ქვეყნებში და ფრთებს შეასხამს საერთაშორისო რეაქციას და რამდენადაც მთელი კაპიტალისტურ მსოფლიოს მუშათა კლასი გამოიჩენს მეტ ენერგიას თავის ქვეყნების ექსპლოატატორთა ხროვასთან ბრძოლაში, იმდენად თვით იტალიის პროლეტარიატს მეტი საშუალება და იმედი მიეცემა ფაშისტებთან წარმატებით ბრძოლისათვის

კ ო მ ი ნ ტ ე რ ნ შ ი

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება ინგლისის მუშებისადმი

მოსკოვი. 2 ნოემბერი. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით ინგლისის მუშებს ინგლისის პარლამენტის მოსალოდნელ არჩევნების გამო. მოწოდებაში ნათქვამია: ინგლისის ბურჟუაზია ომის დროს პირდებოდა მუშებს ოქროს მთებს, მაგრამ ინგლისის მუშების მდგომარეობა ეხლა გაცილებით უარესია ომამდე არსებულზე. ინგლისის ბურჟუაზიის საბჭოთა რუსეთთან ორი წლის ომს, ომს ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც დამთავრდა დამარცხებით ახლო აღმოსავლეთში, დაუჯდა ინგლისს დიდ ფულად, რომელიც შეიძლებოდა უმუშევართა დასახმარებლად და ომით დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღსადგენად დახარჯულიყო. თავის უაზრო იმპერიალისტური პოლიტიკის გამო ინგლისი გათიშულია, ყოველ მხრიდან მტრებით არის შემორტყმული და შექმნილია ახალი საერთაშორისო ომის საშიშროება. მოახლოვებულ არჩევნებზე ყველა მუშებმა ხმა უნდა მისცენ მუშათა პარტიას ყველა ბურჟუაზიულ კანდიდატების წინააღმდეგ მუშათა მთავრობის ლოზუნგით.

მაგრამ მუშებს უნდა ახსოვდეთ, რომ მუშათა მთავრობა შეიძლება იყოს ძლიერი მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ბურჟუაზიის ხელში სათამაშო იქნება. ინგლისის მუშათა პარტია ხდება ბურჟუაზიის მაჩანჩალათ, მას ეშინია მუშათა მასსების ბრძოლის. კომპარტია ეხლა ინგლისის მუშათა კლასის სუსტ უმცირესობას შეადგენს, მაგრამ მუშათა კლასის აუცილებელ რევოლიუციონურ ბრძოლაში ინგლისის მუშათა კლასი დარწმუნდება კომპარტიის პროგრამის და ტაქტიკის სისწორეში და მწყობრი რიგებით მიემხრობა კომინტერნს.

მოსკოვი. 2 ნოემბერი. კომინტერნის კონგრესის მუშაობის განმავლობაში მოსკოვში გამოვა კომინტერნის გაზეთი გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე „წითელი კრემლის“ სახელწოდებით.

კოოპერაცია

ამხ. ტროცკიმ თავის მოხსენებაში მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა კრებაზე ამა წლის ოქტომბრის ბოლოს; შეეხო რა ის სოციალისტურ აღმშენებლობას, განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს მერყევ მდგომარეობას და გადავიდეთ მტკიცე მდგომარეობაზე, საჭიროა თავი დავანებოთ სახელდახელო და ზერელე მუშაობას და შევუდგეთ სისტემატიურ და მეთოდიურ მუშაობასო.

ეს რჩევა მხედველობაში უნდა მივიღოთ განსაკუთრებით ჩვენი კოოპერაციის აღმშენებლობაში, რომელსაც ამ უკანასკნელ დრომდე გარს ეხვევიან სხვა და სხვა „თანამგზავრნი“.

ჩვენს კოოპერაციაში უკანასკნელ დრომდე არ იყვნენ, მცირეოდენის გამონაკლისით, და შეიძლება ითქვას, თითქმის არც ახლა არიან სრულუფლებიანი წევრები-მოქალაქენი, რომელნიც სავსებით სარგებლობდნენ თავიანთ უფლებებით და ამავე დროს სავსებით ასრულებდნენ, როგორც ეს შეფერის შეგნებულ მოქალაქეებს, განსაზღვრულ ვალდებულებებს. იმპერიალისტურ ომის წლებმა და მისმა შედეგებმა—სამეურნეო ცხოვრების შერყევამ მთლად გარყვნეს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ განმტკიცებული კადრები, რომელნიც ახლად იწყებდნენ კოოპერაციაში გაერთიანებას.

თვით კოოპერატორები არ მოითხოვდნენ და თვალყურს არ ადევნებდნენ, რომ წევრებს შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობანი, თავიანთი საკოოპერაციო კანონები და მთელს ჩვენს კოოპერაციაში გაჩაღდა უთავბოლობა. წევრები გადადიოდნენ ერთის კოოპერატივიდან მეორეში, ერთსა და იმავე დროს იყვნენ თითქმის ათეული კოოპერატივის წევრად და თავისთავად ცხადია, არც ერთ კოოპერატივში არ იყვნენ ისეთ კოოპერატორებად, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კოოპერაცია. ისინი კოოპერატივის დუქნებში ჩნდებოდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გაიგებდნენ, რომ იქ იყო შაქარი, ან სხვა ამგვარი საქონელი, რომელიც იყიდებოდა ბაზრის ფასზე ნაკლებ; უცებ გაჰქონდათ მთელი ეს საქონელი და გადადიოდნენ მეორე კოოპერატივის დუქანში, რათა იქაც მოეხდინათ განადგურება. იმათ შეჰქონდათ რა გროშები პაის სახით, რომელსაც მხოლოდ ერთხელ ნაყიდი საქონელი ამართლებდა და ფიქრობდნენ რა, რომ ამით მათ მთლად მოიხადეს თავიანთი ვალდებულება კოოპერატივის წინაშე, მოითხოვდნენ საქონლის გაყიდვას საბაზრო ფასებზე დაბლა და აღშფოთებას აცხადებდნენ ფასების აწევის გამო. ასეთი კოოპერატორები კოოპერაციის ყველაზე უფრო მეტად მავნე მტრები იყვნენ და ყველა იმას, რასაც ისინი აკეთებდნენ, კოოპერაცია დაღუპვისაკენ მიჰყავდა. ისინი სასწრაფოდ ზიდავდნენ კოოპერატივიდან იმ საქონელს, რომელსაც გასავალი ჰქონდა და ახლოს არ იკარებდნენ იმ საქონელს, რომლის ფასიც იყო საშუალო საბაზრო ფასი. ისინი მხოლოდ ითვლებოდნენ წევრებად, მაგრამ „ემიგრანტებს“ წარმოადგენდნენ ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით. ასეთმა დამოკიდებულებამ დეზორგანიზაცია შეიტანა კოოპერატივების მოქმედებაში, შეუძლებელი გახდა რაიმე გეგმითი სამეურნეო მუშაობა; კოოპერატივები განსაზღვრულ დრომდე სარგებლობდნენ ფასების გადიდების ტენდენციით და ასე თუ ისე ხიხერ ხეზულად აწარმოებდნენ სავაჭრო საქმეებს, სანამ გარემოების გამო იძულებულნი არა ხდებოდნენ დაფუშულიყვნენ, ვინაიდან ირკვეოდა, რომ ისინი აშენებული იყვნენ ქვიშაზე; საძირკველი — კოოპერატორები — კრიტიკულ წამს აღარსად იყვნენ.

ჩვენმა ძველმა საკოოპერაციო პრაქტიკამ ცხადად დაგვანახა საკოოპერაციო მოძრაობის მთავარი დამახასიათებელი თვისება, სახელდობრ ის, რომ მისი საფუძველი არის მომხმარებელი, ამიტომ კოოპერატივის მნიშვნელობის ახსნა განმარტება წევრ-მომხმარებელთა შორის შეადგენს ძირითად ამოცანას. და რამდენადაც ასეთი მუშაობა არ სწარმოებდა, იმდენადვე გამომჟღავნდა უნიადაგობა და უშინაარსობა ძველის კოოპერაციისა და ჩვენ დღეს მოწმენი ვართ იმ აგონიისა, რომელსაც განიცდის ეგრეთ წოდებული სამოქალაქო მომხმარებელი კოოპერაცია.

მთელი ეს პრაქტიკა თითქოს უნდა გახდეს საკმარის გაკვეთილად მუშათა კოოპერაციისთვის, მაგრამ ძველის ჩვეულების მიხედვით ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი ძველი წესები კოოპერატორებისა, რომელთაც არ სურთ გაერთიანდნენ მთლიან მუშათა კოოპერატივში და ცდილობენ შეინახონ თავიანთი პაწაწა პირვანდელი კოოპერატივები იმ ანგარიშით, რომ თვითეულ მათგანში მიიღონ თითო გირვანქა შაქარი, ან საპონი, რომელიც იყიდება საბაზრო ფასებზე დაბლა. თუ მუშათა კოოპერაციას არა სურს იმ მდგომარეობამდე მივიდეს, სადამდისაც სამოქალაქო კოოპერაცია მივიდა, საჭიროა ყურადღება მიაქციოს საქმის იმ მხარეს, რომ აღზრდილ უნდა იქნას მუშა-კოოპერატორი. ჩვენ არ გვინდა კოოპერაციის „თანამოგზაურნი“. ჩვენ გვინდა პროლეტარი-კოოპერატორი. და თუ „ყველა პროლეტარი—როგორც ამას წინად სწერდა „პრავდაში“ ამხ. ნ. კრუპსკაია—საკმარისად არ არის შეგნებული, თუ ყველა არ არის მატარებელი პროლეტარულ ფსიხოლოგიისა, პროლეტარულ იდეოლოგიისა, თუ არის კიდევ პროლეტარი, გაჟღენთილი მეშჩანურ იდეოლოგიით, პროლეტარები, რომელთათვისაც უცხოა პროლეტარული იდეალები, პროლეტარული დისციპლინა“, მაშინ გულწრფელად უნდა აღვიაროთ, რომ მუშათა უმრავლესობას ჯერ კიდევ შეგნებული არა აქვთ, თუ რისთვის ვაშენებთ მუშათა კოოპერაციას, არა აქვს გათვალისწინებული, თუ როგორი უნდა იყოს მისი ვალდებულებანი კოოპერაციის წინაშე, როგორია საკოოპერაციო დისციპლინა, რომელიც დაცულ უნდა იქნას ისევე მტკიცედ და გაბედულად, როგორც პარტიული და პროფესიონალური დისციპლინა.

რამდენადაც მუშათა კოოპერაცია პარტიულ და პროფესიონალურთან ერთად წარმოადგენს ერთს დიდ მნიშვნელოვან გაერთიანებას პროლეტარიატისას, იმდენად მისი როლი პირველ დღეებშივე გამორკვეულ და აღნუსხულ უნდა იქნეს. პროლეტარიატი, რომელიც აქტიურად სცვლის ქვეყანას თავისი შრომით და ბრძოლით, რომელიც მუშათა ძალღონის დაზოგვით მიისწრაფის, რათა ბუნება საზოგადოებას დაუმორჩილოს და რევოლიუციონურის ბრძოლით ეძებს წარმოებისა და განათლების ამხანაგურ და სწორ ორგანიზაციის შექმნას, ეს პროლეტარიატი მოვალეა, რომ ნათლად წარმოიდგინოს კოოპერაციის აღმშენებლობის გეგმა და ეცადოს განახორციელოს ეს გეგმა.

მაგრამ ამისათვის საჭიროა დისციპლინით შეკავშირებული მუშათა წრეები—ნამდვილი კოოპერატორები, და შემთხვევითი წევრები, რომელნიც შიგნიდან არღვევენ პროლეტარიატის შეგნებულ ნაწილის შრომითა და ენერგიით შექმნილ შენობას კოოპერაციისას.

ა. ხტანიძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საარჩევნო ბრძოლა პოლონეთში

პ. ს. პ. და პოლიცია კომუნისტების წინააღმდეგ. ყველა ეს პარტიები ისეთ გაფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ დეპუტატის ადგილებისათვის, რომ მიავიწყდათ კომუნიზმის წითელი აჩრდილი ყველა პარტიებიდან ერთი პ. ს. პ. აქცევს დიდ ყურადღებას კომუნიზმს, რომელიც მას სერიოზულ საფრთხეთ მიაჩნია თავის მანდატების და ხმების რაოდენობისათვის. ის იბრძვის, ჯაშუშობს, ავრცელებს ჭორებს და ეწევა პროვოკაციას. დანარჩენმა პარტიებმა პოლიციას მიანდვეს ბოლშევიკურ საშიშროებასთან ბრძოლა. მათ სწამთ, რომ პოლიცია არავითარ შემთხვევაში არ **დაუშვებს კომუნიზმს ლეგალურ საარჩევნო გამარჯვებამდე.** უფრო შორეული პოლიტიკური პერსპექტივები ამ ჟამად საგულისხმო არ არის. ვოდევილი—აი საგანი, ხოლო ყველა დანარჩენი ფუჭია.

ამ ბრძოლის მთავარი აქტიორს, თუმცა და არც ერთ კანდიდატების სიაში პირადად არ გამოდის, წარმოადგენს პილსუდსკი. მან შესძლო შემოეკრიბა თავის ირგვლივ მრავალფეროვანი ლეგიონი. არა ნაკლები 17 პარტიისა გამოდის ამ არჩევნებში—აშკარა ან ფარული ფორმით—პილსუდსკის დროშის ქვეშ.

ამ ჩვიდმეტი პარტიის წარმომადგენლები მომავალ სეიმში ხმას მისცემენ პილსუდსკის პრეზიდენტად არჩევისათვის. მხოლოდ ეს აერთიანებს მათ.

მაგრამ პოლონეთის რესპუბლიკის მომავალისათვის ეს ლოზუნგი „პრეზიდენტი პილსუდსკი“ ძლიერ ბევრს ნიშნავს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საყოველთაო სამხედრო სწავლება

ოქტომბრის რევოლიუციის ზეიმის დღეებში მართავს 5 ნოემბერს **წვევამდელთა I-ლ საბჭოთა სასპორტო-საგიმნასტო დღესასწაულს**

დასაწყისი დღის 2 საათზე.

8 ნოემბერი ცხადდება ახალგაზრდათა სპორტისა და ფიზიკური განვითარების პროპაგანდის დღეთ

ამ დღეს შესდგება სპეციალური სასპორტო-საგიმნასტო დღესასწაული და შეჯიბრება.

მოედანზე ანდრეევისა და ფეიერვერკის ქუჩების კუთხე. დასაწყისი დღის 12 საათზე. (კრ. 5'8—3—1)

რადიო-დეპეშები

რევოლიუცია ალბანეთში

პარიზი. 3 ნოემბერი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ათინის გაზეთების ცნობით, ალბანეთში იფეთქა რევოლიუციამ. რევოლიუციონერების მიერ ალყა შემორტყმულ მთავრობის ჯარებმა უკან დაიხიეს ბერათის მიმართულებით. მთავრობა გაიქცა.

ოსმალეთის სახელმწიფო

კროიდონი. 3 ნოემბერი. ანგორის ეროვნულმა ერილობამ გადასწყვიტა სულთანის გადაყენება და დაადგინა გააუქმოს სახელწოდება «ოტტომანის იმპერია» და შესცვალოს იგი სახელწოდებით: «ოსმალეთის სახელმწიფო.» ეროვნულ ერილობას არ დაუსახელებია გადაყენებულ სულთანის მოადგილე, დაიტოვა რა უფლება აირჩიოს სახელმწიფოს მმართველი, ტრადიციულ დინასტიურ წესის მიუხედავათ. პრესა განმარტავს ამ ფაქტს როგორც წინასწარ ნაბიჯს რესპუბლიკის გამოსაცხადებლათ და აღნიშნავს, რომ თვითონ ოსმალეთის საქმეა თავისი ბედის გადაწყვეტა.

რეაქცია იტალიაში

მუსოლინის თხოვნა.

პარიზი. 2 ნოემბერი. „პტი-პარიზენი" იტყობინება, რომ მუსოლინი სთხოვს მხოლოდ სხდომაზე მინისტრთა საბჭოს დაუტოვონ სფორცას თავისი ადგილი.

მუსოლინი და მოკავშირეები.

ბორდო. 2 ნოემბერი. მუსოლინმა გაუგზავნა პუანკარეს და ბონარ-ლოუს დეპეშები გულითადი მისალმებით, სადაც გამოთქმულია სურვილი მხარი დაუჭირონ მოკავშირე ერების სოლიდარობას.

ნიტტი.

ბორდო. 2 ნოემბერი. რომიდან მიღებულ ცნობებით, ნიტტი დაპატიმრებულია. ფაშისტების გვარდიას დაევალა დაიცოს ის გამგზავრებამდე.

მუსოლინის კაბინეთის ფიცი.

ჰანოვერი. 2 ნოემბერი. მუსოლინის კაბინეთმა ფიცი დასდო მეფის წინაშე, რის შემდეგ დაუყონებლივ გამოცხადდა დემობილიზაცია, რომელიც დაიწყო იტალიის მრავალ ადგილებში.

პრესის აზრი.

რომი. 2 ნოემბერი. საფრანგეთის და ინგლისის გაზეთები, უკეთებენ რა კომენტარიებს ფაშისტების პარტიის ძალა უფლების მნიშვნელობას, გამოსთქვამენ იმედს, რომ ახალი მთავრობა შესძლებს აღადგინოს მდგომარეობა და მით თავიდან აიშოროს საფრთხე, რომელიც ემუქრება ევროპის ცივილიზაციას.

სფორცას გადადგომის გამო.

რომი. 2 ნოემბერი. მუსოლინმა სფორცას მის დეპეშაზე გადადგომის შესახებ უპასუხა შემდეგი: „მე თქვენი გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ უნდა განვიხილო, როგორც არა კეთილმეგობრული და დროსთან შეუფერებელი აქტი, ვინაიდან ეს თქვენი გადაწყვეტილება მოხდა მანამდე, სანამ თქვენ ოფიციალურად გაეცნობოდით იმ დირექტივებს საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც მე გამოვაქვეყნებ პარლამენტში, დირექტივებს, რომელიც ყოველ შემთხვევაში არ იქნება „სიმპატიებისა და ანტიპატიების" ნარევი, როგორც თქვენ შეცდომით ფიქრობთ. მე ფორმალურად გიწვევთ თქვენ დაიკავოთ თქვენი ადგილი და ააშოროთ დაბრკოლებები მთავრობას, რომელიც ეხლა წარმოადგენს ნაციონალური თვითშეგნების უმაღლეს გამოხატულებას. მე მოველი თქვენგან დეპეშით განცხადებას, რაც მე საშუალებას მომცემს გავსცე შემდეგი განკარგულება თქვენს შესახებ".

„ჟურნალ დე იტალია" უკეთებს რა კომენტარიებს მუსოლინის ამ პასუხს, ხაზს უსვამს სფორცას პოზიციის დროსთან შეუფერებლობას და სთვლის ამ პოზიციას მტრულად თავისი მთავრობის მიმართ. თუ ელჩი სფორცა ფიქრობდა, რომ ის არა სასურველი პირია ახალი სამინისტროსათვის, მაშინ მას უბრალოდ უნდა ეცნობებინა მუსოლინისათვის, რომ ის მზად არის გადასცეს თავისი პოსტი მის განკარგულებაში, და არა საქვეყნოდ აღიარებია თავისი გადაწყვეტილება.

მდგომარეობა ინგლისში

მდგომარეობის გართულება.

ნაუენი. 2 ნოემბერი. სახელმწიფოს შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა იმის გამო, რომ ნაციონალ-ლიბერალები, რომელთაც რამოდენიმე ოლქებში მხარს უჭერენ კონსერვატორები, ოპოზიციაში ჩაუდგენ უკანასკნელებს დანარჩენ 80 ოლქში გაზეთები გადმოსცემენ, რომ ლოიდ ჯორჯს განზრახული აქვს ებრძოლოს კონსერვატორებს და წარმოადგინოს კანდიდატების დამატებითი სია. დამოუკიდებელი ენერგიულად ილაშქრებენ კოალიციონურ პრინციპების წინაალმდეგ და მათ ხასაცილოდ აღიარებენ.

კაბინეთის შევსება.

ნაუენი. 2 ნოემ. ბონარ ლოუმ შეავსო თავის კაბინეთის შემადგენლობა. ახალ მინისტრთა შორის არიან: ჩემბერლენის ძმა (ფოსტა ტელეგრაფის მთავარი დირექტორი) და უნიონისტების ყოფილი ლიდერი ლეზლი უილსონი (ხაზინის მდივანი).

ინგლისი იარაღს ისხამს.

ბერლინი. 2 ნოემბ. „როტე ფანე" გადმოგვცემს გაზეთ „თეინეს სტანდარტის" ცნობას იმის შესახებ, რომ ახლად აშენებული ვეებერთელა აეროპლანები ინგლისის არმიისათვის, იწონიან 12 ტონზე მეტს და შეუძლიათ აიყვანონ 24 ჯარისკაცი. პირველი ასეთი გიგანტი-აეროპლანები დანიშნულია მესოპოტამიისათვის.

ინგლისის მუშათა პრესა.

ბერლინი. „როტე ფანე" იუწყება, რომ ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობის დადგენილების თანახმად, გაზეთი „დეილი ჰერალდ" ოფიციალურად ცნობილია ინგლისის მუშების ორგანოთ. ამასთან ერთად შეცვლილია არსებითად რედაქციის შემადგენლობა. მთავარ რედაქტორმა ლანსბერგმა დატოვა თავისი პოსტი. მის მაგიერ დაინიშნა ფაიფ. ლანსბერგი ლოიალურად იყო განწყობილი კომუნისტური პარტიისადმი და თანაუგრძნობდა საბჭოთა რუსეთს, რაც მიუღებელი იყო მეორე ინტერნაციონალის მომხრე ინგლისის მუშათა მოძრაობის ბელადებისათვის. ახალი რედაქტორის დასახასიათებლად კმარა ის, რომ ომის დროს იგი რედაქტორი იყო ომის საპროპაგანდო სხვა და სხვა ფურცლების, რომელთაც ამზობდა „ტაიმსი" და „დეილი მეილ".

საბედისწერო ანგარიში.

პარიზი. „მატენი" იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო მინისტრმა ვითომდა ინგლისის საწინააღმდეგოდ მიმართულ პუანკარეს სიტყვის საპასუხოთ, ამერიკის ლეგიონის დელეგაციის საპატივსაცემო ბანკეტზე წარმოსთქვა დიდი სიტყვა. მიუთითა რა იმ მსხვერპლზე, რომელიც გაიღო ინგლისმა მოკავშირეთა საერთო საქმისათვის, მინისტრმა განაცხადა, რომ ბრიტანიის იმპერიამ ომის განმავლობაში დაკარგა 900.000 კაცი, 1 ნახ. მილ. დასახიჩრებული მეომარი ღებულობს პენსიას სამინისტროდან. ეს სამინისტრო დახმარებას უწევს 1.250.000 ობოლს.

საზღვარგარეთ ამბები

გერმანიაში

საპროტესტო ნოტა.

ჰანოვერი. 2 ნოემბერი. გერმანიის მთავრობას გენერალ ნოლემ ჩააბარა საპროტესტო ნოტა პასსაუს ინციდენტის გამო, რომელშიაც საკავშირთაშორისო საკონტროლო კომისია შეურაცყოფილი იქნა ყაზარმების გაჩხრეკის დროს. გერმანიის მთავრობა იღებს სასწრაფო ზომებს კონფლიქტის გამოსაძიებლად.

გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა.

ჰანოვერი. 2 ნოემბერი. 1 ნოემბრისათვის დანიშნული იყო ფინანსთა მინისტრის გერმესის თათბირი ჰოლანდიის ფინანსიურ ექსპერტ ვის სერინგთან, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორ კასელთან, შვეიცარიის ბანკების კავშირის თავმჯდომარე დიუბუასთან, ამერიკის პროფ. ჯენკსონთან და ცნობილი პროფესორ კეინთან.

უმუშევრები.

ნაუენი. 2 ნოემბერი. ოფიციალური წყაროები აღნიშნავენ გერმანიის ხალხის უმრავლესობის გაჭირვების და უმუშევართა რიცხვის ზრდას. სპეციალურ უზრუნველყოფაზე მყოფთა რიცხვი თანდათან მატულობს.

საბერძნეთში.

ათინა. 2 ნოემბერი. საბერძნეთში არჩევნები დეკემბრის მეორე ნახევარში მოხდება. განსახილველად სდგას არჩევნებში უცხოეთში მყოფ საბერძნეთის კოლონისტების მონაწილეობის საკითხი.

— ათინაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ უწესოებას. რომელიც მოსპობილი იქნა ჟანდარმების მიერ.

შვეიცარია

შვეიცარია და მუსოლინი.

ნაუენი. 2 ნოემბერი. შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ შვეიცარიიდან მუსოლინის განდევნის დადგენილება გააუქმა.

არჩევნების შედეგები.

ჰანოვერი. 2 ნოემბერი. ციურიხიდან მიღებულ ცნობების თანახმად არჩევნებმა შვეიცარიის ნაციონალურ საბჭოში თითქმის არავითარი ცვლილება არ შეიტანა პარტიათა ძალთა განწყობილებაში. კომუნისტებმა, რომელნიც პირველად იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, მიიღეს ორი მანდატი; გლეხების პარტიამ ცხრა მანდატი— კათოლიკებმა—3.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მისალმება ამხ. ლენინს.

მოსკოვი. 2 ნოემბერი. „პრიმორიას" საგუბერნიო სამხედრო რევკომმა გაუგზავნა ამხ. ლენინს მისალოცი დეპეშა მოსკოვთან შორეულ აღმოსავლეთის შეერთების გამო.

საჩუქარი გერმანიის მუშებისაგან

მოსკოვი. 2 ნოემბერი. გერმანიის მსხვილ წარმოების „შერერის" მუშებმა და მოსამსახურეებმა გაუგზავნეს პუტილოვის ქარხნის მუშებს საჩუქრები—მედიკამენტები და მედიკური ინსტრუმენტები. საქარხნო კომიტეტი თავის წერილში აღნიშნავს, რომ ეს მომავალი უფრო მჭიდრო კავშირის დასაწყისია ქარხნებ შორის.

რეზინის ტრესტი.

მოსკოვი. 2 ნოემბერი. პეტროგრადის რეზინის ტრესტი ყოველდღიურად უშობს 40 000 წყვილ გალოშებს.

საბჭოთა საქართველოში

საქართველო

აჭარა.

სააქციზო უწყებაში. სააქციზო გადასახადთა განყოფილებამ გამოაკრა შემდეგი განცხადება: თანახმად საბჭოთა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარის განკარგულებისა 1922 წ. 1 ნოემბრიდან რესპუბლიკის ფარგლებში სააქციზო გადასახადი გადიდებულია შემდეგი სახით:

უცხოეთის ჩაი გირვანქა—20.000 მან., ადგილობრივი ჩაი—5000 მან., შაქარი ფუთი—6000.000 მან., წყნარი ღვინო ვედრო—48.000 მან., ლუდი ალაო ფუთი—600.000 მან., ჭაჭის და ხილის სპირტი გრადუსი—2.000 მან., ერთი გრამი სახარინი—1000 მან., პურის სპირტი—10.000 მან., კონიაკის სპირტი და თვით კონიაკი გრადუსი—15 000 მ., ტკბილი ღვინო სადესერტო ვედრო—240.000 მ., ღვინო შუშხუნა ადგილობრივი ვედრო—600 000 მან., თამბაქოს ნაწარმოები: მოსაწევი თუთუნი გირვანქა—30 000 მ., პაპიროსები გირვანქა—600.000 მან., არყის ნაწარმოები: ვედრო—800.000 მანეთი.

ზემო მოყვანილი საგნები სააქციზო უწყების მიერ იღება აღრიცხვაზე ყველა საწყობებში, სავაჭრო-სამრეწველო დარგებში და კანტორებში როგორც კერძო, ისე საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში. ყველა სახელმწიფო და კერძო სავაჭრო საწარმოებები ვალდებულნი არიან წარუდგინონ სააქციზო უწყებას ყველა აქციზის ქვემდებარე საგნების სია, რომლებზედაც სააქციზო უწყებამ უნდა დააწესოს დამატებითი სააქციზო გადასახადი.

— **რკინის გზის გაყვანა ქ. ქობულეთიდან სოფ. ფიჭვნარამდე** თანახმად პარტკომის შუამდგომლობისა, სახკომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა, რათა ქობულეთის კომუნალურ მეურნეობას, რომელსაც განუზრახავს ვიწრო ლიანდაგის რკინის გზის გაყვანა ქ. ქობულეთიდან სოფ. ფიჭვნარამდე, აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება ამ საქმის შესასრულებლად. აგრეთვე ეთხოვოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მიიღოს მონაწილეობა ამ საქმის მოსაგვარებლად.

წყალდიდობა საქართველოში

წყალდიდობისაგან დაზარალებულ ადგილების აღდგენა ბორჯომში.

ბორჯომიდან გიდრო ელშენებლობის მართველობა აუწყებს, რომ წყალსადენის მთავარი ნაწილი, რომელიც აწვდის ელექტრონის სადგურს ენერგიას და ქალაქს სასმელ წყალს და რომელიც დანგრეულ იქნა 24—25 ოქტომბრის წყალდიდობისაგან, ამ ჟამად უკვე აღდგენილია. ელექტრონის სადგური მუშაობს ნორმალურად. ელექტრონის სადგურის აღდგენის გამო, ადგილობრივი ხეტყის, შუშეულობის და სხვა ქარხნების მუშაობა განახლდა.

შემამაგრებელ კედლების აღდგენა ბორჯომკაზე დაიწყება წყლის გადაგდების შემდეგ. ახალმა კედლებმა გაუძლეს წყლის მოწოლას და არ დაზიანდნენ.

აჭარაში

23 და 24 ოქტომბრის აჭარის წყლის ნაპირებზედ მდებარე სოფლების მცხოვრებნი ფეხზედ იდგნენ, კოკისპირულ წვიმაში და მოთქმა-გოდებით შეჰყურებდნენ თუ როგორ ნადგურდებოდა გაბოროტებულ ნიაღვრებისაგან მათი ნაოფლარი და მიქონდა აზვირთებულ ტალღებს. ისეთი საშიშროებას წარმოადგენდა მთებიდგან გადმოვარდნილი ნიაღვრები, რომ მცხოვრებლები სტოვებდნენ ყველაფერს და გარბოდნენ მხოლოდ თავის გადასარჩენათ. საშინელ სურათს წარმოადგენდა ბავშვების წივილ კივილი. ნიაღვარს მიჰქონდა სასიმინდეები, ბოსლები, სათივეები, წისქვილები და სხვა ვინაიდან აჭარაში საერთოდ სოფლები არის გაშენებული თვალუწვდენელ მთიან ადგილებზედ, იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთ სოფლებმა იწყო ნაწილობრივი დაშვავება რასაც მოჰყვა სოფლებიდგან სოფლებში გადახიზნვა. ბევრი აუღებელი ყანები და საყანე მიწები გაოხრდა, ძალზე დაზიანებულია სამხედრო გზები ქედისა და ხულოს შუა, დალეწილია ტელეგრაფის ბოძები, სასოფლო გზებზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ხიდები და ბოგირები არ დარჩენილა მთელ ქედის და ხულოს მაზრაში გარდა ერთი დიდი რკინის ხიდისა ცხმორისის თემში (ქედის მაზრა). ისიც ძლიერ დაზიანებულია და თუ არ იქნა ზომები მიღებული დაუყონებლივ შესაკეთებლად ისიც ჩავარდება. შეჩერებულია მიმოსვლა როგორც ქედასა და ხულოს შუა ისე მდინ. აჭარის-წყლის გაღმა გამოღმა მდებარე სოფლებში. ხალხი განიცდის დიდ გაჭირვებას.

ფოთის მდგომარეობა.

(აღმასკომის ანგარიშიდან).

ფოთის აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს რედაქციას შემდეგს:

21 ამა ოქტომბერს ქ. ფოთში დაიწყო დიდი წვიმები, რომელიც გაგრძელდა 26 ს ოქტომბრის შუადღემდე. ამ ხნის განმავლობაში მდინარე-რიონი თავის კალაპოტში გაივსო, აგრეთვე გაივსო წყლით ქალაქის არხები. 25 ოქტომბერს საღამოს 5 ნახევარ საათზე სენაკის მაზრის აღმასკომიდან მივიღეთ ცნობა, რომ აბაშის და მისი რაიონის სოფლებში მდინარე რიონი გადასულა, რომელსაც აუცურებია რამოდენიმე სოფლები, რაზედაც მოითხოვდა დახმარებას. მივიღე სასწრაფო ზომები და იმავე საღამოს, რკინის გზით გავაგზავნეთ რამოდენიმე მაშველი სანაოსნო ჰურჭლები და მეზღვაურები. მეორე დღეს დილით კიდევ გავგზავნეთ იმავე საშვალებით რამოდენიმე ნავი და მეზღვაურები, სულ გაგზავნილ იქნა ფოთიდან აბაშაში დასახმარებლად 15 სხვა და სხვა ტიპის სანაოსნო ჰურჭლები და 40 მეზღვაური თავის მოწყობილობით.

თუმცა სურვილი გვქონდა მეტი დახმარება გაგვეწია ასეთი ჰურჭლების და მეზღვაურების გაგზავნით, მაგრამ ანგარიში გაუწიეთ თვით ფოთის მდგომარეობას, რომელსაც აუცილებლად მოელოდა ისეთივე დღე, როგორც აბაშას და მის რაიონს, ვინაიდან აბაშის და მის რაიონში გადასული წყლები თავისი მიმართულებით ფოთს ვერ ასცდებოდა.

ჩვენი მოლოდინი კიდევაც გამართლდა. 26 ოქტომბერს დილის 10 საათზე მივიღეთ ცნობა, რომ ჯუმათის რაიონში მდინარე რიონმა გადახეთქა და მიიღო მიმართულება ფოთისაკენ. აშკარა იყო ჩვენთვის რომ ფოთს დიდი საშიშროება მოელოდა. ამისათვის ქ. ფოთში სასწრაფოდ შესდგა წყალდიდობის წინაალმდეგ ზომების მიმღები კომისია, რომელიც დაიყო სამ ქვე-კომისიად. ერთ ნაწილს ამ კომისიისას დაევალა მდინარე კაპარჭინის დამბის და შლუზების შემაგრების საქმე და მასთან მთელი სანაოსნო ჰურჭლების და მცურავი საშუალების მობილიზაციის მოხდენა წყლის გადასვლის შემთხვევაში მცხოვრებთა გამოსაყვანად; მეორე ნაწილს—დაევალა რიონზე ხიდების თვალყურის დევნება, რათა ყოველივე მძიმე საგნები აეშორებიათ ხიდის დატაკებას და მიეცათ მათთვის საშვალება თავისუფლად გატარებისა, ამავე კომისიას დაევალა ზრუნვა და მაცადინეობა ქალაქის ერთი ნაწილის სახელდობრ „ნაბადის" რაიონის მცხოვრებლებზე, რომლებსაც საშიშროება მოელოდა რიონის მხრით რკინის გზის ლიანდაგის სადგურიდან მეშვიდე ვერსზე გადახეთქის დროს.

მესამე ნაწილს კი დაევალა ზრუნვა და მაცადინეობა მცხოვრებთა სურსათ სანოვაგით უზრუნველყოფაზე.

კომისიამ აიღო თავისი ამოცანები და სასწრაფოდ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მიღებულ იქნა ყოველივე ზომები კაპარჭინის დამბის შემაგრებისათვის, საიდანაც ჩვეულებრივად გადადის წყალი და მოელის საშიშროება, მაგრამ ყოველივე ცდა და ზომების მიღებამ უნაყოფოდ ჩაიარა. აღნიშნული მდინარემ 26 ოქტომბერს დილიდანვე სწრაფად მოიმატა, ვერავითარმა ძალამ ვერ შეაკავა და საღამოს 7 საათზე დამბების ორი თავი—ერთი პარკისკენ აღმოსავლეთით და მეორე ნაბუტურისკენ დასავლეთით, გადახეთქა.

წყალი ისე სწრაფად წამოვიდა, რომ ელვისებურად მოედო მთელს ქალაქს. წინასწარ ამოწმენდილ იქნა სუფსისაკენ მიმავალ გზაზე ის არხი, რომელიც 1985 წ. წყალდიდობის დროს უკვე გაჭრილია, რომლის საშუალებით კაპარჭინის დიდძალი წყალი იწურება პირდაპირ ზღვაში.

ამ საშუალებამ დიდი დახმარება გაუწია ქალაქს და ააშორა აუარებელი წყალი; აგრეთვე დიდი ბედნიერება იქნა ქალაქისათვის, რომ წყლის გადასვლისთანავე ჩადგა ნიავი, რომელმაც დააწყნარა აბობოქრებული ზღვა და როგორც ქალაქში გადასულ წყალს აგრეთვე რიონსაც მისცა ზღვაში თავისუფლად ჩაწურვის საშუალება.

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა და ჩვენ მიერ მიღებული ზომებისა, ქალაქი ორი საათის განმავლობაში გაივსო წყლით და ყოველივე მისი კუთხე შველას თხოულობდა, ქუჩებზე ყოველგან დაუბრკოლებლივ დაცურავდენ დიდი ზომის ნავები და ამგვარად დაბალ და სუსტ სახლებში მცხოვრებნი სასწრაფოდ გადაყვანილ იქნენ უფრო საიმედო ადგილზე. ღამის 11 საათზე, წყალმა ნახევარ არშინიდან 2 არშინამდე აიწია, ხოლო 27 დილით 4 არშინამდე ავიდა. წყლის დენა ყველა ქუჩებზე ისე მაგარი იყო, რომ საცურავი საშვალებები დიდი გაჭირვებით მოძრაობდნენ.

27-ს მთელ დღეს წყალი ერთ ზომაზე იდგა, ხოლო საღამოს იწყო ცოტ ცოტად კლება. ღამის 3 4 საათზე მდინარე რიონმა გაგლიჯა ჩრდილო ტოტის დროებითი ხიდი 20 საჟ. მანძილზე და თან წაიღო, აგრეთვე გაგლეჯილია ორივე თავები და მისი შუა ნაწილი მალთაყვას ხიდისა, რომელიც ერთად-ერთი შემართებელია ქალაქ ფოთის და მის რაიონის გურიასთან. აგრეთვე დიდად დაზიანებული და სულ მთლად ამოთხრილია ამ ხიდის თავებთან მიწა დიდ მანძილზე. იმავე ღამის 4 საათზე რკინის გზის ლიანდაგი ფოთის სადგურიდან მესამე ვერსზე გადარეცხა და დიდად დააზიანა, ხოლო მატარებელთა მიმოსვლა ისევ აღდგენილია.

მიღებულ ზომების წყალობით ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, დაიღუპა მხოლოდ აუარებელი შინაური პირუტყვები, წაღებულია: რამოდენიმე სახლი, ორი ვაგონი ცხენ მავლის გზის შპალები, ას ორმოც და ათი საჟენი ეკონომიური განყოფილების შეშა და ხეტყის მასალები; აგრეთვე წაღებულია სატყეო ტრესტის დიდძალი დამზადებული შპალები, ხეტყე და ხეტყის მასალები, განადგურებულია ქალაქის ბაღები, ყოველივე ტროპიკული და ქვე ტროპიკული მცენარეებით. მეტ ნაწილად მოსპო ქ. ფოთის რაიონში გრიგოლეთის აგარაკში ჯერ კიდევ აუღებელი ყანები, აგრეთვე დიდად დაზიანებულია სავაჭრო ადგილები, ყოველივე სანდობი საგნები, როგორიც არის მარილი, შაქარი და მასთან პურის ფქვილიც მაღაზიებში სრულიად განადგურებულია. ქალაქში ზარალი აუწერელია.

დიდად დაზარალებულია მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი. მცხოვრებთა საკვებად კომისიის დადგენილებით, იხარჯება სასურსათო კომისარიატის და რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სასარგებლოდ ქ. ფოთში დაგროვილი პურის ფქვილი, ვინაიდან ქალაქში სხვა საშვალება არ იყო. ამ საგანზე მოხსენდა დეპეშით ცენტრალურ კომიტეტს. რიონის ჩრდილო ტოტის ნაპირები დიდ კუნძულის რაიონში სულ ერთიად დარღვეულია და სახელოსნო სკოლის შენობებს დანგრევას უქადის. აგრეთვე რკინის გზის სადგურიდან ნავთსადგურამდე მიმავალ გზატკეცილი დაახლოვებით სახელოსნო სკოლის პირდაპირ გარღვეულია და მიმოსვლა შეწყვეტილია. ქალაქი ჯერ კიდევ წყალშია, ხოლოდ აგერ ეგერ გამოჩნდა მაღალი ადგილები და ქუჩები, სადაც გავლა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან წყლის ჩქარი დენის გამო ქუჩების შუა გულ ადგილები დაშლილია (დაორმოებულია) ქალაქში ჩამდგარი წყლის მდინარე რიონში და ზღვაში ჩასაწურავად ხელოვნურად გაყვანილია რამოდენიმე არხები.

მთელ ქალაქს ეხლავე მოედო ჩვეულებრივი მალიარია და მრავალი სხვა გვარი გაციებით გამოწვეული ავადმყოფობა. საექიმო დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან წამლები და სხვა საექიმო საშვალებები ქალაქში სრულებით არ მოიპოება, განსაკუთრებით კი ხინა.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომ. მოადგილე **მ. გელაშვილი.**

მდივანი **გ. ჯულელი.**

ამიერ-კავკასიის პარტიული კონფერენცია.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი 1922 წ. 10 ნოემბერს იწვევს ამიერ-კავკასიის პარტიულ კონფერენციას

დღის წესრიგი:

1) რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში (ამხ. ორახელაშვილი), 2) საკავშირო საბჭოს ანგარიში (ამხ. ნარიმანოვი), 3) სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ (ამხ. ორჯონიკიძე), 4) ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობის შესახებ, 5) მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა:

რესპუბლიკების კომპარტიის ცეკა—ორ-ორ დელეგატს. სამაზრო კომიტეტები, ქალაქის კომიტეტები და ქალაქის რაიკომები—თითო დელეგატს.

რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი—ორ დელეგატს.

რესპუბლიკების ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკა—თითო დელეგატს.

არმია და ფლოტი გზავნის ცალკე 14 დელეგატს.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების პოლიტსეკრეტარიატი—ერთ დელეგატს.

რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ორახელაშვილი.

დღეს, 4 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე საქ. კომუნ. პარტიის ტფ. კომ. იწვევს საქ. კომ. პარტიის წევრთა და კანდიდატთა

საერთო სარაიონო კრებას

დღიური წესრიგი:

1) საქ. კომუნისტური პარტიის მორიგი ამოცანები.

2) დელეგატების არჩევნები ამიერ-კავკასიის პარტიულ კონფერენციაზე.

ტფ. კომ. მდივანი **მ. კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის მეოთხე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 4 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, სახალხო სახლის (ყოფ. ზუბალოვის) შენობაში შესდგება

მეოთხე რაიკომის წევრების და კანდიდატების საერთო სასწრაფო კრება

საკითხის დიდმნიშვნელოვანობის გამო ყველას დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 4 ნოემბერს დღის 1 საათზე წარმოებებში სამუშაოს დამთავრების შემდეგ საქართველოს კომპარტიის 2 რაიკომი აწყობს

შაბათობას ყაზარმებში

წითელ არმიელების ტანთსაცმელების შეკეთებისათვის. თავს იყრიან რაიკომის შენობაში დღის 1 საათზე. სავალდებულოა კომპარტიის წევრთა და კანდიდატ ქალების, აგრეთვე მკერვალების იჩეიკის წევრების გამოცხადება პარტიულ დისციპლინის თანახმად. ქალთა განყოფილების ორგანიზატორებს ევალებათ მიაღებინონ მონაწილეობა ამ შაბათობაში უპარტიო ქალებსაც.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

რეზოლიუციები.

გორი.

პასუხისმგებელ მუშაკთა შორის.

მოისმინა რა ამხ. ორახელაშვილის მოხსენება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის პროექტის შესახებ, კრება სრულებით უერთდება უმაღლეს პარტიულ ორგანოების მერ მიღებულ გადაწყვეტილებას სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების რ. ს. ფ. ს. რ., უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის კავშირის შექმნის შესახებ და აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია, რომ სამაზრო კომიტეტმა დაუყონებლივ დაიწყოს კამპანია პარტიულ და უპარტიო მასებში მიღებულ გადაწყვეტილების მიხედვით.

რკინის-გზის წრეებში.

30 ოქტომბერს გორში ამხ. დავიდოვის თავმჯდომარეობით შესდგა რკინის გზის ხაზის ტფილის ხაზურის ადგილკომების წარმომადგენელთა კრება. ამხ. ორახელაშვილის მოხსენებაზე, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ, კამათის შემდეგ კრებამ ერთხმათ მიიღო დადგენილება, რომელიც იწონებს რ. ს. ფ. ს. რ. უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ კავკასიის ფედერაციის კავშირის შექმნის პროექტს.

საგიტაციო-საპროპაგანდო პოლიტიკურ განათლების და ქალთა განყოფილებების წარმომადგენელთა მეორე ყრილობის რეზოლიუციები.

(დასასრული)

პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს მოღვაწეობის შესახებ.

მოისმინა რა პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს საერთო და საორგანიზაციო მოხსენება მისი მოღვაწეობის შესახებ საქართველოს საგიტაციო და საპროპაგანდო და პოლიტიკურ განათლების განყოფილებათა წარმომადგენელთა კონფერენცია აღნიშნავს:

1) პოლიტიკურ განათლების მთავარი სამმართველოს მოღვაწეობის ბაზი, რომელიც მიმართული იყო იმ პოლიტიკურ ამოცანების შესრულებისაკენ, რომელიც იდგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე (ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე) პარტიასთან დაახლოვება (საგიტ.-საპროპაგ. განყ. საშუალებით) სისწორით არის აღებული.

2) მაგრამ თათბირი საჭიროდ სთვლის განუცხადოს ცენტრალურ კომიტეტს, რათა პოლიტიკური განათლების ორგანოებმა თავის ძირითად ამოცანად დაისახონ საგიტაციო-საპროპაგანდო და პოლიტიკური-განმანათლებელი მუშაობა და მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და ხელმძღვანელობა გაუწიონ პოლიტიკურ განათლების და საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებს. საჭიროა შეძლებისდაგვარად გააძლიერონ პოლიტიკურ განათლების საქმის ფინანსიურად უზრუნველყოფა.

პოლიტიკურ განათლების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებში საჭიროა გაიგზავნონ პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგები, და არ იქნან ეს ამხანაგები ხშირად შეცვლილნი.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას და პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს ევალება გააძლიეროს მეთოდიური მუშაობა.

მოეწყოს კავშირი პროვინციასთან არა მარტო ინსტრუქციების არამედ ცოცხალი საინსტრუქტორო ძალების საშუალებით. საჭიროა მოწესრიგებულ იქნეს ჟურნალის „კომუნიზმის დროშის ქვეშ“ გამოცემა. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას და და პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს ევალებათ ცენტრალურ პარტიულ შკოლაში სავალდებულოდ გახადონ პოლიტიკური განათლების კურსები, რათა მიეცეს მაზრებს მომზადებული ამხანაგები ადგილებზე. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს საქმიანი კავშირის უქონლობა კავშირთა კულტურულ-განყოფილებებსა, ქალთა განყოფილებებსა, ახალგაზრდობის კომკავშირისა და პოლიტიკურ განათლების განყოფილებათა შორის.

მომავალში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ყრილობა წინადადებას იძლევა მოეწყოს კონტაქტიური მუშაობა, რითაც მიღწეული იქნება ძალების საშუალებების ეკონომია.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროლეტარულ კულტურას და სამხატვრო ლიტერატურის გავრცელებას გლეხთა მასებს შორის.

ლექტორთა ინსტიტუტების შესახებ.

1) თათბირი იწონებს ლექტორთა ინსტიტუტის ორგანიზაციის გეგმას.

2) თათბირი სთხოვს ცეკას მიიღოს ყოველივე ზომები ინსტიტუტის გასახსნელად დანიშნულ დროზე—ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე.

3) თათბირი აუცილებლად სცნობს, რომ ლექტორებათ ინსტიტუტში მოწვეულ იქნენ საუკეთესო მარქსისტული ძალები ჩვენი პარტიისა.

4) თათბირის დელეგატებმა ფართოდ უნდა გაავრცელონ პარტიულ წრეებში ლექტორთა ინსტიტუტის გეგმა და ადგილებზე დაკვირვებით გამოარჩიონ ინსტიტუტში გასაგზავნი ამხანაგები.

ქალთა განყოფილების შესახებ.

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. გოლუბევისა ქალთა განყოფ. მუშაობის მეთოდების და ფორმების შესახებ მომავალში, საგიტაციო-საპროპაგანდო პოლიტ-განათლების გამგეების თათბირი აღნიშნავს, რომ როგორც ც. ქ. ქალთა განყოფილების მუშაობა ობიექტიური მიზეზების გამო, გარდა ბათომის, ბორჩალოს, ახალქალაქის და გორის სუსტად მიმდინარეობდა.

ვიღებთ რა მხედველობაში ქალთა შორის მუშაობის მნიშვნელობას, საჭიროა, რომ პარტიის ცეკამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ც. ქ. ქალთა განათლებას აპარატის გაძლიერებით და მუშაკთა რიცხვის გადიდებით. ადგილებზე პირველად ყოვლისა საჭიროა ინსტრუქტორთა რიცხვის გადიდება სამამდე მაინც მაზრაში.

ამასთანავე საჭიროა, რომ საგიტაციო საპროპაგანდო და პოლიტიკურ განათლების განყოფილებებმა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე მუშაობა აწარმოონ ქალთა განყოფილებებთან მჭიდრო დაკავშირებით, რადგანაც დღემდე ასეთი კავშირი ამ განყოფილებებისა ქალთა განყოფილებასთან ზოგიერთ მაზრებში არ არსებობდა.

ეკონომიური ცხოვრება

მსოფლიო ბაზარი ოქტომბრის დასაწყისში. სავალიუტო ბაზარზე დამახასიათებელ მოვლენად ჩაითვლებოდა გერ. მარკ. კურსის კატასტროფიული დაცემა, და ლონდონის კურსის ნიუიორკში ცოტათი გაუმჯობესება. სტერლინგების კურსი ხანგრძლივი დაცემის შემდეგ ოქტომბრის პირველ კვირაში განიცდის გაუმჯობესობას, თუმცა სექტემბრის საშუალო კურსზე დაბლა დგას. გერმანიის მარკის კურსის დაცემამ გავლენა იქონია მოკავშირეთა-ვალიუტაზე. ბელგიის და საფრანგეთის ვალიუტის კურსმა დაწევა განიცადა გასულ კვირასთან შედარებით, იტალიის ლირა კი გამაგრდა.

საერთო კონიუნკტურა შეერთებულ შტატებში მაღლა იწევს. ნახშირის ბაზარზე მდგომარეობა ისევე მტკიცეა. თუჯის და ფოლადის ბაზარზე აღნიშნულია მათი წარმოების გაფართოება შეერთებულ შტატებში. უკანასკნელ დროში შოტლანდიის გემების აღმშენებელმა ჯგუფებმა მიიღეს მსხვილი დაკვეთები, რასაც საბირჟო წრეებში უყურებენ, როგორც გაცხოველების დასაწყისს.

ბელგიის გარდა, რომლის ქარხნები აუარებელი დაკვეთები აქვს მიღებული, მსოფლიო ბაზარზე იაფი მიწოდებით გამოდის გერმანია, და სულ უკანასკნელ დროში, ჩეხო სლოვაკია. ახლო-აღმოსავლეთში მდგომარეობის ცოტათი გაუმჯობესობა არავითარ გავლენას არ ახდენს ინგლისის ბაზარზე, და ლანკაშირს ემჩნევა ისევე წარმოების შემცირების ტენდენცია.

ინდოეთის ბამბეულობაზე მოთხოვნილება მცირეა.

ბათომის ბაზარი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით, ამ კვირაში გასულ კვირასთან შედარებით, ბათომის ბაზარზე საქონლის ფასი ცოტათი აიწია. მეტადრე ძვირობს ნარმა, რაც აიხსნება მისი მცირე შემოტანით. ამ კვირის განმავლობაში პირველი ხარისხის ფქვილის ფასი არ შეცვლილა, მეორე ხარისხის კი ავიდა 10 ლირამდე ერთ ტომარაში. ფასი აიწია რაფინადის შაქარზედაც. აგრეთვე ფხვნილ შაქარზედაც. ნავთის პროდუქტებზე ფასი უცვლელია.

ბორჯომის მამულში. ბორჯომის სახელმწიფო მამულში გაზების და მინერალური წყლების ქარხანაში ჩამოსხმულია ბორჯომის წყალი—2083 ყუთში ან 104 150 ბოთლში. ნახშირმჟავაზი 8740 კილო. გაყიდულია ბორჯომის წყალი—1873 ყუთი 1 მილიარდი 315.400.000 მან., ნახშირმჟავა 81.70 კილო 316.625.000 მანეთად.

ხე ტყის სახერხავი ქარხანა. დახერხილია სხვა და სხვა მასალა ზომით 21.027 კვ. ვერშ., დამზადებულია ბურბუშელა 261 ფ., გახერხილია გარბილები და ნაფოტები 24 კ. საჟ.; დამზადებულია სკიპიდარი 56 ფ. 20 გირ., კანიფოლი—228 ფ 20 გირვ.; გაცემულია დახერხილი მასალა 24.994 კვ. ვერშ., ბურბუშელა—393 ფუთი, გარბილები და ნაფოტი—7¼ კ. ს., სულ 1.438.982.000 მან. და სკიპიდარი 10 ფუთი 27 გირ., კანიფოლი 4 ფუთი 27 გირ. სულ 34.868.000 მან.

ხუმბათოვის ხე ტყის სახერხი ქარხანა, დახერხილია სხვა და სხვა ზომის მასალები 13.500 კ. ვერშ., გაცემულია 8.420 კ. ვერშ.

ელექტროსადგური—გამომუშავებულია ელექტრონული ენერგია 30.000 კილოვატი.

ქალაქთა მოსახლეობის აღწერისათვის

1. მომავალი აღწერა, რომელიც უნდა მოხდეს მიმდინარე წლის ნოემბერში, არის პირველი ძირითადი სტატისტიკური აღწერა ქალაქთა მოსახლეობისა საქართველოში. იგი არსებითად განირჩევა იმ გამოკვლევებისაგან, რომელიც წინად ხდებოდა ხოლმე საქართველოს ქალაქებში, სხვა და სხვა კერძო საკითხების გამოსარკვევად. (1897 წ. ვიწრო დემოგრაფიული და 1917 წ. სასურსათო აღწერა).

2. სტატისტიკური აღწერა არის ერთად-ერთი წმინდა მეცნიერულ მეთოდებზე დამყარებული საშუალება, რომელიც მიუდგომლად და ობიექტიურად იკვლევს სოციალ ეკონომიურ ცხოვრების მასიურ მოვლენებს.

3. აღწერა საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ ჩვენსა და ჩვენს გარშემო მყოფთა ცხოვრებას, შევისწავლოთ თანამედროვე ქალაქის პირობები, რომელშიაც თვითეულ ჩვენგანს უხდება, როგორც პირადი ისე საზოგადოებრივი ცხოვრება და მუშაობა.

4. აღწერის შედეგები, ნათლად დაგვანახვებს იმას, თუ რა გვესაჭიროება, სახალხო განათლების საქმეში, ჯანმრთელობის დარგში, საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ და მრავალ ჩვენს მოთხოვნილებებს სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ, ცხოვრების ასპარეზზედ.

5 აღწერა, როგორც სარკე, დაგვანახვებს თანამედროვე ქალაქის უარყოფით მხარეებსაც და ამით გაგვიადვილებს მათ საწინააღმდეგო საბრძოლველ საშუალებათა გამონახვას.

6. იქ, სადაც ცოდნა არ არის შეუძლებელია გონივრული აღმშენებლობა აღწერის გარეშე წარმოუდგენელია, სახელმწიფოს თუ საზოგადოების მიერ, მიზან შეწონილი მუშაობა ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

7. ასეთი ცოდნა საჭიროა მეტადრე ისეთ ადგილებში, სადაც ემჩნევა მეტი შეჯგუფება მოსახლეობისა, ისეთი რთულ და მრავალ გვარი მოთხოვნილებებით, როგორსაც ჩვენ ვხედავთ, თანამედროვე ქალაქში.

8. ის დიდი გავლენა, რომელსაც ახდენს თანამედროვე ქალაქი სოფლის კულტურულ, სოციალ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაზე, მით უფრო საჭიროდ ხდის, ამ რთულ მოვლენათა შესწავლის აუცილებლობას, რაიც შესაძლებელია მხოლოდ აღწერის საშუალებით.

9. თანამედროვე ქალაქი, როგორც ქვეყნის კულტურული, სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიური ცენტრი დაახლოვებით მაინც გვიხატავს ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების, საერთო მიმართულებას და მის მომავალ ფორმებს.

10. მომავალი აღწერა, გამოარკვევს მოსახლეობის საერთო— რაოდენობას, მის სოციალურ დაჯგუფებას და მონაწილეობის ხასიათს ეკონომიურ ცხოვრებაში; მწარმოებელ ძალათა და მუშა ხელის რაოდენობას და სხვა.

11. დიდი რევოლიუციის წყალობით ქვეყნის სადავე დღეს მშრომელთა ხელშია, ამიტომ ის არ უნდა იყოს უბრალო მატარებელი თავის უფლებებისა. მან უპირველესად ყოვლისა უნდა იცოდეს თუ რის მქონეა იგი, რა მდგომარეობაშია, მისი ქონება, უნდა იცნობდეს თავის ქარხნებს, სამრეწველოებს და თავის ქალაქის ცხოვრების პირობებს.

12. მხოლოდ ყოველმხრივი დახმარება, შეგნებული დამოკიდებულება, აღწერისადმი, სწორი და უტყუარი ცნობების მოწოდება ჩვენ პირველამზე მოგვცემს ჩვენ სწორ წარმოდგენას იმაზე თუ რანი ვართ და რა გასაჭირი გვადგია: ამით გაადვილდება საერთო გზის აღება ჩვენს ცხოვრებაში.

ქრონიკა

ოქტომბრის ზეიმისათვის

◆ **უქმე დღე.** ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის დღესასწაულის გამო, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოება დაწესებულებებში ნოემბრის 6 ს მუშაობა წყდება დღის 1 საათზე, და განახლდება ნოემბრის 8 ს ჩვეულებრივის წესით.

◆ **ოქტომბრის ზეიმისათვის თანხის გადადება.** ამიერ-კავკასიის გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად გადადებულია 35 მილიონი მანეთი; ამ თანხიდან 30 მილიონი შეტანილ იქნება ქუჩის ბავშთა დამხმარე ფონდში თავშესაფარის მოსაწყობად. დანარჩენი ხუთი მილიონი მოხმარდება კომისარიატის შენობის სადღესასწაულოდ მორთვას.

იმავე კოლეგიის დადგენილებით ნაშვილევი სამხედრო ნაწილების საჩუქრებისათვის გადადებულია 100 ლიონი მანეთი.

სწავლა-განათლება

◆ **პროფესიონალურ განათლების მთავარ მართველობანი.** სახალხო კომისარიატის პროფესიონალურ განათლების მთავარ-მართველობამ დაუგზავნა ყველა ტექნიკუმებს საანკეტო ფურცლები მასწავლებელთა და მოსწავლეთა მდგომარეობის შესახებ. მასწავლებელთა შესახებ მოყვანილია შემდეგი კითხვები: გვარი, სახელი, ეროვნება, წლოვანობა, სტაჟი, თანამდებობა, როდის არის დანიშნული თანამდებობაზე, სპეციალური საგანი, რა საგანს ასწავლის, გაკვეთილების რაოდენობა, დამატებითი მოვალეობა. მოსწავლეთა შესახებ: ეროვნება, წლოვანობა, ფაქტიური რიცხვი მოწაფისა თითო კლასში და საერთო რიცხვი.

საკავშირო საბჭოში.

◆ **ანგორის წარმომადგენელი ამხ. მიასნიკოვთან.** 1 ნოემბერს საკავშირო საბჭოს ბინაზე ამხ. მიასნიკოვმა მიიღო ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში მუხთარ-ბეი.

საუბარი გაგრძელდა 1 ნახ. საათი და ძლიერ მეგობრული ხასიათი ქონდა. მუხთარ-ბეიმ გამოსთქვა, რომ ოსმალეთი მშვიდობიანი და მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

ამხ. მიასნიკოვმა აღნიშნა, რომ ამაში ამიერ-კავკასიის ფედერაციას ეჭვი არ ეპარება, საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან პოლიტიკის და აგრეთვე ოსმალეთის მიერ იმპერიალისტების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის წყალობის მშვიდობიანობა უზრუნველყოფილია.

საუბარი ეხებოდა აგრეთვე ოსმალეთ-ბულგარეთის დამოკიდებულებას, ოსმალეთ-ამიერ კავკასიის სავაჭრო საქმეებს, აზერბეიჯანის ახალ ლათინურ ალფავიტს და მის მნიშვნელობას მუსულმანებისათვის და სხვ.

სახკომსაბჭოში

◆ **შუამდგომლობა.** სწავლა-განათლების სახალხო კომისარიატმა სახკომსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა წელს მისი საწარმოვო განყოფილების ყველა დარგი განთავისუფლებულ იქნას ყოველგვარ გადასახადისაგან, ვინაიდგან ისინი ამზადებენ ისეთ საგნებს და წიგნებს, რომელთაც აქვთ მეცნიერული ხასიათი.

◆ **ცხენის წყალის დამბები.** უმაღლესი სამეურნეო საბჭო შუამდგომლობს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა მის განკარგულებაში გადაიდოს 500,000 მანეთი, რომელიც მოხმარდება ცხენის წყალზე აგებულ გუბათის დამბის გამაგრებას.

◆ **ბავშვთა სახლებისათვის.** თბილისის ქალაქის აღმასკომმა წარადგინა სახკომსაბჭოში ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის განათლების განყოფილების ბავშვთა სახლების 1000 ბავშვების ჩაცმა-დახურვის შესახებ.

ვაჭრობა-მრეწველობა

◆ **წარმომადგენლის გაწვევა.** მთავრობის წარმომადგენელი „ჩემო“ ს საზოგადოებასთან უცხოეთში ქ. ს. მაცაბაძე გამოწვეულია ჰააგიდან და ამ დღეებში ჩამოვა თბილისში.

◆ **„ჩემო“-ს სავაჭრო ოპერაციები.** ცარიცინის მეტალურგიის მრეწველობის წარმომადგენელმა ხელახლად მიმართა „ჩემო“-ს საზოგადოებას, რათა მას სურს შეიძინოს 20.000 ფ. შავი ქვა ფოთში ფრანკო გემი ცარიცინის ქარხნების საჭიროებისათვის.

◆ **ექსპორტის შესახებ.** გზების გაფუჭების გამო, შავი ქვის ნავთსადგურებთან გადაზიდვის შეწყვეტა გავლენას ახდენს საერთო საქმეზე. საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა რკინის გზების მართველობის წინაშე, რათა უფრო რადიკალური ზომები იქნას მიღებული ჭიათურის შტოს შესაკეთებლად.

სასამართლო.

◆ **რევტრიბუნალში.** ა. წ. 5 ნოემბერს ამხ. კაჭარავას თავმჯდომარეობით აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის ღია სხდომაზე იქნება განხილული საქმე ქურდ-რეციდივისტებისა: ივანე მაკარენკოს, ვასილ კუზმინის, სერგო გორგიჯანოვის, ვასილ ბორდკინის, ივანე გიუნაშვილის და სხვ.—ჯგუფის შედგენაში ქურდობის მიზნით. სასამართლოს სხდომა გაიხსნება დილის 11 საათზე.

◆ **რევტრიბუნალში.** აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი თავის საჯარო სხდომაზე განიხილავს შემდეგ საქმეებს: 8 ნოემბერს—მომცემლების და აზატოვის ბრალდების ქრთამის აღებაში, შანოშვილის-ტუსლის გაშვებაში; 9 ნოემბერს—ქეიშვილის და სხვ. თანამდებობით ბოროტმოქმედებაში; 11 ნოემბერს—ჯიქიძის და გოგიჩაიშვილის—ბანდიტიზმში და 13 ნოემბერს—ვართანოვის და სხვ. გამოტყუებაში და უფლებების გადამეტებაში.

სხვა და სხვა.

◆ **დაკარგული ბავშვი.** ხუთშაბათს, 26 ივნისს საღამოს სახლიდან გავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა 13 წლის ვაჟი, შრომის სკოლის მოწაფე მიშა ქარსელაძე. თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, მამა დაკარგულისა ივ. ქარსელაძე სთხოვს გაატყობინოს შემდეგი მისამართით: იზმაილოვის ქ., № 2, ივ. ქარსელაძეს.

— პოლიტეხნიკუმის სტუდენტების დადგენილების თანახმად, ამიერიდან პოლიტეხნიკუმს ეწოდება ლენინის სახელი.

◆ **ადგილების დათვალიერება.** ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლ. დუმბაძემ და მისმა მოადგილემ ამხ. ილიკო წიწვიაძემ სწავლული ტყის მომშენებლების ვინოგრადოვ-ნიკიტინის, როშჩინის, როსტოვცევის და ტრიფონოვის თანხლებით დაათვალიერეს წმ. დავითის მთის ტყეზე მოშენების წინასწარი მუშაობა ქალაქის ამ მხრივ ნიაღვრებისაგან დასაცავად. მთის მწვერვალზე და ფერდობზე 20 დესეტინის სივრცეზე გაყვანილია თხრილები, რომელთა სიგრძე 24 ვერსტს უდრის აქიდან ამხ. დუმბაძე და სხვ. მოვიდნენ მუშათა კლუბში (ნაძალადევში), სადაც დაათვალიერეს ვლადიმერის ქუჩასთან მდებარე ხრამი, საიდანაც ჩვეულებრივად სკდება ნიაღვარი ჩერქეზოვის ქუჩას.

მუშათა ცხოვრება

ტერ-არუთინოვის ფეხსაცმელების სახელოსნო

ამ სახელოსნოში მუშაობს ექვსი მუშა, ამათში ორი მოზარდია. სამუშაო პირობები მუშებისა არ არის კარგი. მუშების ნივთიერი პირობები ძლიერ გაჭირვებულია სახელოსნო შესდგება ორი ოთახისაგან: ერთი უკანა ოთახი და მეორე წინა, სავაჭრო ოთახი უკანა ოთახი ჰიგიენურათ მუშაობისათვის უვარგისია. ოთახში არ არის საკმაო სინათლე და არც სიწმინდე არის დაცული შიგ. ამ ასეთ ოთახში უხდებათ მუშაობა 3 მუშას. წინა ოთახი უფრო კარგია. მასში მუშაობას ეწევა ხაზეინი თავის ორი „ერთგულ“ მოზარდეებთან. იმედია ამ გარემოებას მიექცევა ყურადღება და უკანა ოთახში მომუშავე მუშების დღევანდელ პირობებში მუშაობის განგრძნობა მოისპობა თუ კი უკანა ოთახში მუშაობა აუცილებელი იქნება, იმ შემთხვევაში თვით ხაზეინი მიბრძანდეს იქ და იქ მომუშავე მუშები წინა ოთახში გადმოიყვანოს. შრომის დაცვის კანონები მოზარდთა მიმართ სრულიად არ არის დაცული ნორმალური სამუშაო დღე მათთვის არ არსებობს, მუშაობენ იმდენს რამდენსაც დიდები ეწევიან და მეტსაც. საჭიროა გათავხედებულ ხაზეინისათვის ლაგამის ამოდება.

გ. ხ.

მისაბაძი მაგალითი

კვირას 29 ოქტომბერს ყოფილ ყაზახის მოედანზე მექანიკურ საბარგოსარემონტო ქარხნის მიერ გაიმართა შრომის კვირა. კვირაობის მიზანი იყო გაეწმინდათ მომავალ სეზონისათვის ბოსტანი. ბოსტანი უდიდეს დახმარებას უწევს ამავე დაწესებულების მუშებს. კვირაობაში მუშა-მოსამსახურეებმა უდიდესი ენერგია გამოიჩინეს. ამით დაამტკიცეს თუ რა შეძლება შეკავშირებულ მუშებს. 4 საათის განმავლობაში მუშებმა შესძლეს გაეწმინდათ იმდენი, რაც კერძო პირისათვის ერთ თვეს მაინც მოითხოვდა, სივრცე სამუშაო ადგილისა არც ისეთი პატარა იყო. დაახლოვებით იქნებოდა ნახევარ, ქცევაზე მეტი. მუშებმა შესძლეს გაეწმინდათ ადგილი სხვა და სხვა დანგრეულ სიძველეთაგან, წყალსადენის გაყვანა ბოსტანში მისი მორწყვის მიზნით და სხვა. შედეგათ ასეთი ენერგიულ შრომისა ჩვენ მივიღეთ გასუფთავებული მოედანი, რითაც საშვალება ექნება მუშებს სარგებლობის. იმედია ასეთ მაგალითს სხვა დარგის მუშებიც არ ჩამორჩებიან დაკვირაოვების საშვალებით ხელს შეუწყობენ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღდგენას.

ახალი.

საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა შორის

დიდი ხანი არ არის რაც ეს ორგანიზაცია თავის მუშაობას თან და თან აფართოვებს და შეაქვს პროლეტარული შეგნება დამოუკიდებელ მშრომელთა შორის. დამოუკიდებელ მშრომელთა ორგანიზაციაში შედიან: ხელოსნები, შინა მრეწველები და სხვანი, რომელნიც არ ეწევიან სხვის, დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციას. მშრომელთა ეს ჯგუფი ჩვენ მრეწველობის პირობებში თამაშობს საკმაო თვალსაჩინო როლს. ორგანიზაცია თავის რიგებში თავს უყრის 100 ათას პირს, რომლიდანაც მარტო თბილისში იქნებიან 30,000 საზოგადოება თავის შემადგენლობით ახლოს დგას მუშათა ორგანიზაციებთან, რომელსაც შეაქვს გაფანტულ წრეში პროლეტარული და ამხანაგური სოლიდარობის სული. ახლოვდება ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული და დამოუკიდებელი მშრომელნიც დიდი ზეიმით ეპირებიან მის შეხვედრას. ამ მიზნით კავშირის პრეზიდიუმმა მოიწვია დელეგატთა საგანგებო კრება, რომელზედაც პირველ რიგში დასმული იქნა საკითხი რევოლიუციონურ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისა. დელეგატებმა გადასწყვიტეს შეიძინონ საკუთარი დროშა და მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში. აღნიშნულ დღეს ცალ-ცალკე ცეხები შეიკრიბებიან დანიშნულ ადგილას. მუშა ხელოსნების ცხოვრებაში ეს პირველი ისტორიული დღე იქნება.

განმე.

ბაბაჯანოვის წისქვილი

აქ მუშათა ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესებულია. შედარებით სხვა წისქვილებთან მუშები რიგიან ხელფასს იღებენ. იღებენ უმთავრესად ნატურით, ფქვილით. ფქვილს ღებულობენ ბაზრის ფასებზე უფრო მეტს ღებულობენ, ვიდრე ოჯახში სჭირიათ. გადარჩენილ ფქვილს ბაზარზე ყიდიან. ეს გარემოება მათი შრომის რეალურ ხელფასს ადიდებს. მუშათა მდგომარეობა აქ სხვა მხრივათაც კარგია. წისქვილის შენობა ტეხნიკურ სანიტარულათ დაკმაყოფილებულია. შრომის კანონები დაცულია. მუშები შრომის ხელფასს თავის დროზე იღებენ. მოისუსტებს კულტ მუშაობა. ამ მხრივ აქ არაფერი კეთდება ეს კი დიდი ნაკლია.

გამვლელი.

მუშათა დასასვენებელი სახლები

წელს როგორც მკითხველებს მოხსენება, მცხეთაში ს. პ. კ. ს. გახსნა მუშათა რამოდენიმე დასასვენებელი სახლი. ამ სახლებმა მუშებს და მოსამსახურეებს დიდი სამსახური გაუწია. ბევრ მუშისათვის შვებულებას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რომ ეს სახლები არ არსებულიყო. სასურველია ამ საქმის მომავალ წლისათვის კიდევ უფრო გაფართოვება. მცხეთაში კიდევ მოიპოვება რამოდენიმე საავარაკო სახლი და რეკვიზიციის წესით უეჭველად უნდა ჩამოერთვას მათ მეპატრონეებს. ს. პ. კ. ს. უკვე ეწევა ამ მხრივ მუშაობას. სასურველია ხელისუფლების ორგანოები თანაგრძნობას გაუწევდნენ მას ამ საქმეში.

ყოფილი.

ასოთ-ამწყობების მდგომარეობა

ასოთ-ამწყობები ყოველთვის ითვლებოდენ მოწინავე და შეგნებულ მუშებათ. მაგრამ ნამდვილათ ეს არ ითქმის დარგის ყველა მუშაზე. ბევრი მათგანი დღესაც არ არის დაინტერესებული საერთოთ, და კერძოთ მუშათა ცხოვრებით თავისუფალ დროს უფრო ხშირათ სამიკიტნოში ატარებენ და წიგნსა თუ. გაზეთს ნაკლებათ კითხულობენ. ურთიერთშორის არ არის სოლიდარობა და პატივისცემა ერთმანეთის. ხშირი მოვლენაა ერთი მეორისადმი გინებით და უშმაწური სიტყვებით მიმართვა, რაც ყოვლად დაუშვებელია. აღსანიშნავია აგრეთვე რომ ეს დარგი მავნებლათ მოქმედებს ჯანმრთელობაზე, რის გამო ხშირია მუშების ავადმყოფობა განსაკუთრებით ჭლექით. ამიტომ საჭიროა ამ დარგის კავშირმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტამბების ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, 5 სტამბა, სადაც შედარებით უფრო უნდა იყოს ჰიგიენური და სანიტარული პირობები დაცული, ამ მხრივ ვერ არის კარგ პირობებში. ის ოთახი, სადაც ჩვენი გაზეთი იწყობა, ვიწროა სივრცით, რომელშიდაც მუშაობს 25 კაცი, მუშაობის დროს დგება შეხუთული ჰაერი, ჯერ სივიწროვით და შემდეგ უსუფთაობით. იატაკი წინეთ ყოველ შაბათს ირეცხებოდა, ისე კი იწმინდებოდა სოველ ტილოთი და ნავთით. იდგა საფურთხებელი ყუთები, იბერტყებოდა კასები, რიბლები და სხვა. დღეს არც ერთი არ სრულდება. საჭიროა მეტი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და თუ შესაძლებელია სამუშაო ოთახის ან გამოცვლა, ან სივრცის გადიდება და სისუფთავის დაცვა.

შინაური.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი.

„თამარ ცბიერი“—აკაკის.

ნოემბერი 2. რეჟისორი ა. ფალავა.

„თამარ ცბიერი“ არ არის დრამატიული, ამ სიტყვის გამართლებული მნიშვნელობით. არის კონფლიქტები და მომენტები გაძაფრების, მაგრამ არა გამტანიანი, რადგან პროცესი მომეტებულად რბილდება გრძელი მონოლოგებით და პაეკრობით. ის დაწერილია ლექსათ და ეს კიდევ უფრო ანელებს მოცემულს, რადგან დეკლამაცია ნაკლებათ ეხერხებათ ჩვენ მსახიობებს. მაყურებლის დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ რითმებით მოჭრილ სტრიქონების ეშინიათ მათ, და სუფლიორის უფრო იმედი აქვთ, ვიდრე საკუთარი თავის. ამ საღამოზედაც სუფლიორი დაზიანებულ ინსტრუმენტის ხმით დაუზარებლათ არიგებდა „მოწყალებას“, და პარტერმა უფრო ადრე იცოდა ვის რა უნდა ეთქვა. მაგრამ წარმოდგენა მარცხისაგან იხსნა გიორგი დავითაშვილმა (მურსანი). ეს მსახიობი დიდ შესაძლებლობას იტევს, „თამარ ცბიერშიაც“ უსათუოთ მარტომ გაიტანა ლელო. მან იცოდა ყოველი სიტყვის თვისება და ნათქვამის მნიშვნელობა, ჰქონდა შესანიშნავი გადასვლა და მაღალ ფარდებში შეხამებული შინაგან მოქმედებაზე დამყნილი ჟესტიკულიაცია. მიუხედავათ იმისა, რომ მისი პარტია გაჭიანურებული მონოლოგია უფრო, ვიდრე მოქმედება, დავითაშვილმა სავსებით დასძლია ეს ნაკლი პიესის.

დავითაშვილის ქალს (თამარ) ქონდა სარკეობა ცბიერების და ჟინის, უკანასკნელ მოქმედებაში კი—მონანიების.

ნიკო გვარაძემ (მასხარა მეფის) თითქმის სრულებით გააფუჭა არა მარტო თავისი პარტია, არამედ მთელი უკანასკნელი მოქმედება, სადაც მეფესთან ჩონგურზე დაჭღერების დროს, როდის არ ცოდნით და ბუტაფორიული ჩონგურის (აკომპანიმენტი კულისებიდან როიალის, რაც დისონანსი იყო თავისთავად) ვერ მომარჯვებით შექმნა უსიცოცხლო მდგომარეობა. გრიმიც უფრო მეფისტოფელის ჰქონდა, ვიდრე მასხარასი. ეს ადგილი კი უსათუოთ საინტერესო მომენტია და პროცესის ბევრის შემმატებელი.

აკაკი ვასაძე (ნიკო ცირაზე შეყვარებული) ამ საღამოს მეტად სუსტი იყო. მისი მიმიკა და ჟესტიკულიაცია გვაგონებდა „აბესალომ სალამთაძეს“. სრულებით არ ჰქონდა გადასვლა და ხმის კოლორიტი. მისი ყოველი სიტყვა ცივი იყო. საუკეთესო ადგილია თამარის მოკვლის განზრახვა ცირას წაქეზებით და თამარის საძინებელ ოთახში შესვლა მომარჯვებული ხანჯალით, და... მოღუნება მძინარე თამარის სილამაზით, მაგრამ ეს ადგილი ვასაძემ საშინელ უფერულათ ჩაატარა. მას უნდოდა გამოეჩინა, როგორც გურულს, სიჩაუქე და სიმკვირცხლე, რაც სრულებით უკულმა გამოუვიდა.

ართა ლოლუა (ცირა, პირისფარეში თამარის) ბავშვივით იყო. ეს არ არის ამ როლის დამახასიათებელი, გულუბრყვილობაზე უფრო აქ საჭიროა მეტი წონასწორობა მოქმედების და ტემპერამენტის შინეული ტკვილით ჩვენება. ჰქონდა კარგი ადგილები, მაგალითად, თამარისათვის საძილისპირო ჩონგურზე დაკვრის და ზედ დამღერების დროს. ლექსის რიტმი მასაც ნაკლები ჰქონდა, როგორც უმრავლესობას.

შალვა ღამბაშიძე (მეფე, ქმარი თამარის) საშუალო იყო. თუმცა შეიძლება ამ როლის უფრო გაცოცხლება. არც გრიმი ქონდა შესაფერი.

გამყრელიძე და კორიშელი ამაგრებდნენ თავიანთ სახელს. რაც შეეხება დადგმას, მაინცდამაინც ვერ იყო კარგი. პირველ მოქმედებას კიდევ არაფერი უშავდა, თუმცა მაინც ვერ გაგვეგია რისთვისაა რამპასთან მოტანილი მარტო ბანი (რომელიც ხიდის შთაბეჭდილებას სტოვებს) და ისიც მოფარდაგებული. მეორე მოქმედების კედლები არა ქართული ჯიშის და ისიც უცნაური მინიატურებით არის აჭრელებული. მარჯვენა და მარცხენა კარებიც ერთი—მეორის ადგილზე იყო, რასაც კარების თავზე ფანჯრების უკმა დაცემული ჩრდილები აშკარავებდნენ. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს უხმო როლების

ამსრულებელთ, რომლებიც მანეკენბივით არიან გაჩერებულნი და გრიმებიც შეუხამებელი აქვთ.

რ. გ.

—

— **სტუდიაში.** აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული დრამატიული სტუდია ამით სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც აქვთ წაღებული გასავრცელებლად ზემოხსენებული სტუდიის ლატარიის ბილეთები—ანგარიში გაასწორონ არა უგვიანეს ამა თვის ათისა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი და გვარი გამოქვეყნებული იქნება პრესაში და აგრეთვე პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, 4 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება ამ სეზონში პირველად ალ. შანშიაშვილის ორიგინალური პიესა „უგვირგვინო მეფენი“. პიესას დადგამს აკაკი ფალავა. კვირას, 5 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება დავით კლდიაშვილის პიესები: „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს შაბათს 4 ნოემბერს მიდის ოპერა „დემონი“ პეტროგრადის მარიინის აკადემიური თეატრის არტისტის ალ. დოლონაძის მონაწილეობით, რომელიც პირველათ თბილისის სცენაზე გამოვიდა ამავე ოპერაში 31 ოქტომბერს და, მიუხედავათ ავათმყოფობისა და მაღალი ტემპერატურისა, მის მიერ დემონის პარტია შესრულებულ იქნა საუცხოვოდ. დღეს კი ალ. დოლონაძე გამოდის ამავე როლში სრულიად საღი და ამიტომ მისი მეორედ გამოსვლა იწვევს დიდი ინტერესს. მასთან ერთად თამარის როლს შეასრულებს მომღერალი ქ-ლი პეტლიაშ ბარილიოტი, რომელმაც ოპერა „აიდა“-ში ორჯერ გამოსვლით უკვე დაიმსახურა საზოგადოების დიდი სიმპატია. ოპერას ხელმძღვანელობს ვანო ფალიაშვილი.

— **პიესების მომზადება.** ახლო მომავალში აკაკი ფალავას რეჟისორობით დაიდგმება სინკევიჩის ცნობილ რომანიდან გადმოკეთებული პიესა „ვიდრე ხვალ უფალო“. მიხ. ქორელი შეუდგა ნ. შიუკაშვილის ორიგინალურ დრამას „სიმახინჯეს“ მზადებას.

— **ბლიუმენტალ-ტამარინის ავადმყოფობა.** მსახიობი ბლიუმენტალ-ტამარინი, რომელიც ერთი თვის წინ გაემგზავრა თბილისიდან რუსეთს, როგორც იტყობინებიან, მძიმე ავათ ყოფილა ტუბერკულიოზით. ავადმყოფი მსახიობი იმყოფება ხარკოვში.

— **იაკობ ნიკოლაძის იუბილე.** სრულიად საქართველოს ხელოვანთა მთავარმა კომიტეტმა დაადგინა გაუმართოს 25 წლის იუბილე მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს. იუბილეს მოწყობა მიენდო პრეზიდიუმს, რომელშიაც შედიან თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ტიციან ტაბიძე, წევრები: ვახტანგ კოტეტიშვილი, აკაკი ფალავა და ვარლამ რუხაძე. პრეზიდიუმმა საიუბილეო კომიტეტში მოიწვია სანდრო ყაჩელი, ნინო ჩხეიძე, ს. აბაშელი, გრიგოლ რობაქიძე, პავლე საყვარელიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ქეთინო ამირეჯიბი, მოსე თოიძე, მიტროფანე ლაღიძე და დავით ლიხელი, პირველი კრება საიუბილეო კომიტეტის დანიშნულია ორშაბათს, დღის 1 საათზე ხელოვანთა სასახლეში.

— **ხელოვანთა სასახლის გახსნა სომხეთში.** მხატვარ სარიანის თაოსნობით ერევანში გაიხსნა ხელოვანთა სასახლე.

— **ხელოვანთა სასახლეში:** სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს განზრახული აქვს გამოუშვას ყოველ თვიური ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის და ხატვრობის დიდ ტომიანი ჟურნალი. ორშაბათს 6 ნოემბერს, დანიშნულია კრება ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ჟურნალის პროგრამის შესადგენად. პრეზიდიუმმა დაავალა ტიციან ტაბიძეს გააკეთოს მოხსენება ამ დღისთვის...

დღეს თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — დემონი ალ. დოლონაძის მონაწილეობით, **რუსთაველის თეატრი** — უგვირგვინო მეფენი, **ცენტრალური მუშათა კლუბი** — მურატოვის კონცერტი, **სახალხო სახლი** — ქართული წარმოდგენა, **კონსერვატორია** — მ. მ. სკიბიცკაიას კონცერტი.

კინო მინიონი — ბედის უკუღმართობა, **არფატო** — სურამის ციხე, **კინო სოლდე** — ღამის შვილი (მე 5 სერია), **კინო პალასი** — წყეულ იყავ შენ ჩემი ცხოვრების დამღუპველო, **აპოლლო** — ფენიქსი.

პროვინციაში

გურია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ წარმოებს ინტენსიური სააღმშენებლო მუშაობა.

აღმშენებლობის წლათ უნდა ჩაითვალოს გურიაში განსაკუთრებით 1922 წელი. ამ წელში, საბჭოთა პირველი ყრილობის მიერ, არჩეული გურიის აღმასკომი, შეუდგა პირველ ყოვლისა დანგრეულ გზებისა და ხიდების შეკეთებას.

შეკეთებულ იქნა ჯერ მთავარი ხაზი სახელმწიფო გზისა—ნატანებ—ოზურგეთ—ჩოხატაური, ამ გზებზე იყო აყარებილი ხიდები დანგრეული, რომელიც გენერალურად შეკეთებულ იქნა.

შეაკეთეს აგრეთვე სხვა შტოები გზებისა თავის ხიდებით, დაიწყო მუშაობა ბახმაროდან ჩოხატაურამდე საეტლე გზის შესაკეთებლად. მუშაობა რამოდენიმე ვერსზე უკვე გათავებულია. გაყვანილ იქნა ტელეფონისა და ტელეგრაფის ქსელი აგარაკ ბახმაროზე და იმ თემებში, რომელშიაც ჯერ კიდევ არ იყო, ახლა გურიაში იშვიათია ისეთი თემი, სადაც ტელეგრაფისა ან ტელეფონის ქსელი არ იყოს.

დაწყებულ იქნა სრულიად ახალი ხიდების კეთება, სადაც აუცილებელი იყო,—ქ. ოზურგეთთან ჟუჟის წყალზე ლიხაურში გასავლელი დიდი რკინის ხიდი, ასეთივე ხიდი დ. ნაგომართან მდ. სუფსაზე გასასვლელი, რომელიც აერთებს ოზურგეთთან მოწყვეტილ რაიონებს აკანისას და ძიმითისას, დიდი რკინის ხიდი აგრეთვე დ. ხიდისთავთან მდ. გუბაზოულზე, რომელიც აერთებს ხიდისთავს ჩოხატაურის რაიონთან. ყველა ეს გზები შეკეთებული იყო, ხიდებზე კი სწარმოებდა გაცხარებული მუშაობა, მაგრამ ბუნების ულმობელმა სტიქიამ, წყალდიდობამ ამდენი ხნის ნაღვაწ ნადაგი, გურიის მშრომელი ხალხის მიერ შეკეთებული გზები და ხიდები მთლად ერთიანად დაანგრია და მიწასთან გაასწორა, ეს ცოტაა: მთელი წლის მოსავალი (წელს გურიაში კარგი მოსავალი იყო) გაანადგურა, წყალმა წაიღო მოწეული ჭირნახული.

რაც შეეხება ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის მუშაობას, ეს საქმე ჯერჯერობით კარგად მიმდინარეობს. შესრულებულია ნახევარი მიწის სამუშაოსი. ამ საქმეში გურულებმა სრულებით გაამართლეს იმედი. ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რა სასიხარულო სანახავი იყო ის სურათი, როდესაც გურულები მწყობრად, სამუშაო იარაღებით მხარზედ განწყობილნი და ძველი გურული „რაშო რერას“ ძახილით მოდიოდნენ 30—40 ვერსის მანძილზე სამუშაოთ და მთელი კვირეების განმავლობაში თავგამოდებით მუშაობდნენ. თუ ასე გატარდა, ეს აუცილებელია უნდა გატარდეს რკინის გზის საამშენებლო კომისიის ამ გზის მუშაობა, ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირველ იანვარს საზეიმოთ მორთული მატარებელი ქ. ოზურგეთში გვესტუმრება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რკინის გზისთვის წყალდიდობას არა დაუკლია რა და ეს მიეწერება იმ გამოცდილ ინჟინერებს, რომელნიც ამ გზაზე მუშაობენ.

ბანდიტიზმი მაზრაში წინედ რამოდენიმედ გავრცელებული იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანებში შესუსტდა.

ბანდიტების ნაწილი დახოცეს, ნაწილი შეიპყრეს და ნაწილიც თავისი ნებით გამოცხადდა. დარჩენილ ბანდიტების შესაპყრობათაც მილიციას აქვს სასტიკი ზომები მიღებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გურიაში აღმშენებლობითი საქმე კარგად მიდიოდა. წყალდიდობის შემდეგ კი აღმასკომს გულ ხელ დაკრეფილი არ უყურებია ამ განადგურებულ ამდენი ხნის ნაამაგარისათვის, მაშინვე დაგზავნილ იქმნა კომისიები, ზარალის შემომწმებელი და ამწერი, ყველა რაიონებში. ყოფილი დამშეულთა კომიტეტი გადაკეთებულ იქნა წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტათ, რომელიც შეუდგა მუშაობას, აგროვებს შემოწირულებებს სხვა და სხვა კუთხეებიდან და დაწესებულებებიდან, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს კომიტეტი შესძლებს დააკმაყოფილოს ისეთი დაზარალებულები, რომელნიც წყალმა სრულიად აჰყარა. ასეთები კი გურიაში მრავალია.

საერთოდ გურიისათვის დღეს საჭიროა შემდეგი:

სასწრაფო დახმარება მიეცეს დაზარალებულთ, სასწრაფოდ და გენერალურად შეკეთდეს მთავარი გზატკეცილები და მათზე მდებარე ხიდები, განვთავისუფლოთ, როგორც ნატურალური, ისე სხვა გადასახადებისაგან. ან შევამციროთ ისეთი, ვინც თვალსაჩინოდ დააზარალა წყალმა.

გრიშა ციხელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 9.

სრულ. სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს სატარიფო საბჭოსი.

იმ წარმოება დაწესებულებებში განაკვეთის განსაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, ნოემბრის თვის პირველ ნახევრისათვის განაკვეთის საფუძვლად ქალ. ტფილისში (პირველ სატარიფო სტოლში) დაწესებულია შემდეგი ბაზრის საშუალო ფასები.

№№ რიგზე	პროდუქტების დასახელება	რაოდენობა	ფასი ერთეულის ანგარიშით მანეთობით, (ათასებში).
1	პური . .	1 გ	10
2	ქართოფი .	1 „	4
3	ლობიო . .	1 „	9
4	ბრინჯი . .	1 „	18
5	კომპოსტო	1 „	4
6	ხორცი . .	1 „	30
7	ზეთი . .	1 „	45
8	ერბო . .	1 „	80
9	შაქარი . .	1 „	25
10	მარილი . .	1 „	4
11	ოვზი . .	1 „	25
12	ჩაი . .	1/4	50

შენიშვნა: პროვინციისათვის პროდუქტების ღირებულება წესდება თანახმად უმაღლესი სატარიფო საბჭოს დადგენილებისა № 8, ზემო მოყვანილ ფასებთან შეფარდებით და სათანადო საპროცენტო დაკლებით ყოველ ზოლისათვის.

უმ-ღლეს სატარიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. მიქაძე.
მდივანი გ. ბოკუჩავა.

—

დადგენილება № 15.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმ. სრულებელი კომიტეტისა.

სასამართლოში საქმეების დამცველთა შესახებ.

1. 1921 წლის ივლისის 30-ს თარიღით გამოცემული სახალხო სასამართლოს დებულების შესაცვლელად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ხსენებული დებულების 65—72 მუხლები შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 65. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა საბჭოსთან დაარსდეს სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების დამცველთა კოლეგია.

დამცველთა კოლეგიის მოქმედების მოწესრიგება მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ გამოცემული განსაკუთრებული დებულებით.

მუხ. 66. დამცველთა კოლეგიის პირველი შედგენილობის წევრებს, რიცხვით 30 ზედ არა ნაკლებს, ამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარი სახალხო მოსამართლეთა საბჭოს წარდგენით. შემდეგში კოლეგიაში წევრებს მიიღებს კოლეგიის პრეზიდიუმი და ამას აცნობებს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს, რომელსაც კოლეგიის ახლად მიღებული წევრის უკუქცევის უფლება ეძლევა.

შენიშვნა: დამცველთა კოლეგიის წევრს არ შეუძლიან დაიჭიროს თანამდებობა სახელმწიფო დაწესებულებასა და წარმოებაში, გარდა: 1) იმისა, ვინც იურის კონსულტის მოვალეობას ასრულებს; 2) იმისა, ვისაც ამორჩევით უჭირავს სახელმწიფო თანამდებობა, თვინიერ თანამდებობისა სასამართლო უწყებაში; 3) იურიდიული მეცნიერების პროფესორისა და მასწავლებლისა.

მუხ. 67. დამცველთა კოლეგიის წევრების საზოგადო კრება თავის წრიდან აირჩევს კოლეგიის პრეზიდიუმს.

მუხ. 68. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს ევალება:

ა) მეთვალყურეობა და კონტროლი დამცველთა მიერ თავიანთი მოვალეობის ასრულებისათვის.

ბ) დადება დისციპლინარული სასჯელისა კოლეგიის წევრზე; ამასთანავე დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კოლეგიის პრეზიდიუმის ეს დადგენილება სახალხო მოსამართლეთა საბჭოში განასაჩივროს.

გ) განკარგულება იმ ფულის თანხისა, რომელიც 70 მუხლის წესით კოლეგიის ფონდში შევა.

დ) დანიშვნა დაცვისა უსასყიდლოდ, აგრეთვე ნიხრით 69 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტების წესისამებრ.

ე) კონსულტაციის მოწყობა მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად.

მუხ. 69. დამცველთა შრომის გასამრჯელო განისაზღვრება შემდეგი საფუძვლით:

ა) ის, ვინც სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ხელმოკლედ იქნება ცნობილი, უნდა განთავისუფლებულ იქნეს სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის დამცველისათვის ყოველგვარი გასამრჯელოს მიცემისაგან;

ბ) სახელმწიფო და კერძო წარმოების მუშასა და საბჭოთა დაწესებულებისა და წარმოების მოსამსახურეს უფლება აქვს დამცველს სასყიდელი გადაუხადოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ნიხრისამებრ;

გ) ყველა სხვა შემთხვევაში დამცველის გასამრჯელო განისაზღვრება დამცველისა და დაინტერესებული პირის შეთანხმებით.

მუხ. 70. დამცველს, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის შესანახად და იურიდიული კონსულტაციების მოსაწყობად, თავის გასამრჯელოდან კოლეგიის ფონდში შეაქვს განსაზღვრული საპროცენტო ანარიცხი, რომელსაც დააწესებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

მუხ. 71. დამცველთა კოლეგიის წევრის გარდა, დამცველად შეიძლება იქნეს ბრალდებულის ან დაზარალებულის მახლობელი ნათესავი, სახელმწიფო დაწესებულებისა და წარმოების რწმუნება აღჭურვილი წარმომადგენელი, აგრეთვე წარმომადგენელი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ცენტრალური კავშირისა და პროფესიონალური თუ საზოგადოებრივი სხვა ორგანიზაციისა. სხვა ვისიმე დამცველად ყოფნა შეიძლება მხოლოდ იმ სასამართლოს განსაკუთრებული ნებართვით, სადაც სწარმოებს საქმე.

მუხ. 72. დამცველთა მოქმედების უმაღლესი ზედამხედველობა, კოლეგიის წევრის უკუქცევის უფლებით, ეკუთვნის იუსტიციის სახალხო კომისარს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წლ. ნოემბრის 15 დან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტ. მდივანი **თ. კალანდაძე.**
1922 წ. ნოემბრის 2
თბილისი—სასახლე.

განცხადებები

დღეს, 4 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

მიხეილ იონას ძისა და ლილი იონას ასულის
მეუნარგიების

მოსახსენიებლად. რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ნინო იონას ასული და გიორგი სერაფიონის ძე შენგელიები; თამარა სერაფიონის ასული და კაპიტონ გრიგოლის ძე მეუნარგიები; ელენე მიხეილის ასული და ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელნი.

(492—1—1)

რუსთაველის თეატრი
დღეს, 4 ნოემბერს ალ. შანშიაშვილის
„უგვირგვინო მეფენი“
დადგმა ა. ფალავასი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.
(კრ. 499—2—2)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 4 ნოემბერს
დოლონაძის მონაწილეობით
დემონი
კვირას, 5 ნოემბერს
კარმენი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა ხკრძალულია.
(კრ. 510—1—1)

ორშაბათს, 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში
დანიშნულია
მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომუნალურ განყოფ. და შინაგან მმართველობის განყოფილებათა სექციების
სხდომა
გთხოვთ ყველა ამხანაგებს, რომელნიც ჩაწერილი არიან აღნიშნულ სექციებში გამოცხადდენ თავის დროზე.
კრ. 513—2—1 მდივანი—ხუნდაძე.

თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო
აცხადებს, რომ 5 ნოემბერს დღისით 12 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სასტუმრო „ერმიტაჟი“ შტაბის ქ. № 4.
კონდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში გადასახადთა ბიუროს გამგესთან.
კრ. 514—1—1 გადასახადთა ბიურო.

ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის
განყოფილება
აცხადებს, რომ ა. წ. 1 ნოემბრიდან გაიხსნა ქალ. მეორე საავადმყოფოში პირველი ყოფილი ალექსანდროვის საავადმყოფოში, დიდი მთავრის ქ. № 103, ფილტვების ავადმყოფთა ამბულატორია (სპეციალ. ტუბერკულიოზი) ავადმყოფნი მიიღებიან უფასოდ ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა, დილის 9—11 საათამდე. (კრ. 516—1—1)

ტექნიკური კანტორა „ნევო“
უველაზე უფრო იაფად
ყიდის
ყველა ზომის ავტო პაკრიშკებს, ავტო-კამერებს
მხოლოდ „საზღვარ-ვარეთის ფირმის“
მისამართი: სასახლის ქ. № 3 (ეზოში) ტელეფონი 7—05.
(კრ 512—3—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
304—25—17)

დღეს ა. წ. 4 ნოემბერს საღამოს 4 საათ. ქალ. აღმასკომის შენობაში დანიშნულია
მორიგი სხდომა
ქ. საბჭოს აღმასკომისა
ყველა წევრების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა
კრ. 503—2—2

ხვალ, 5 ნოემბერს,
დოღი
დასაწყისი დღის 1 საათზე.
შემდეგი დოღი 7, 12 და 19 ნოემბერს
ტელეფონი № 121.
(კრ. 511—2—1)

საქართველოს დამშეულთა დამხმარე
მთავარი კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ ის სცემს იჯარით
„ლოტო“-ს
თამაშის უფლებას ქ. ტფილისში, ქუთაისში და ბათომში. მსურველთ თავიანთი პირობების წარმოდგენით შეუძლიან შემოიტანონ სათანადო განცხადებები მთავარ კომიტეტში ა. წ. 7 ნოემბრამდე, რომელ რიცხვის შემდეგ არავითარი განცხადებები მიღებული არ იქნება.
საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.
(კრ. 506—1—1)

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში და
ვამზადებ პირობით მოზრდილთა
საერთო განათ. კურსებზე, ტეხნიკუმში 1, 2, 3 კლასში, შესასვლ. ბავშვებს შრომის სკოლის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 ჯგუფ. და მოწმობაზე. პლეხანოვის ქ. 25, შესავალი (ალექსის ქუჩიდან ვორონცოვის ძეგლის ახლოს) ჩაწერა 9—1 ს. 3—6 ს. (488—4—2)

ზემო-ავჭალის გიდრო-ელექტრონის სადგურის
აღმაშენებელი კომიტეტი აცხადებს
რომ შაბათს 4 ნოემბერს 12 საათ. დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის სათათბირო დარბაზში ზემოავჭალაში სასადილოს, საჩაიეს და საწვრიმალო დუქნის გახსნისა, სადაც შენდება გიდრო ელექტრონის სადგური, რომელზედაც იმუშავებს ათას კაცამდის. უპირატესობა მიეცემა კოოპერატიულ ორგანიზაციებს. პირობების გაგება შეიძლება თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სათათბირო დარბაზში ზემოავჭალის გიდრო-ელექტრონის სადგურის სამეურნეო ნაწილის გამგე რაზმაძესთან, დილის 10 სათიდან დღის 3 საათამდე.
გიდრო ელექტრონის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე
სამეურნეო ნაწილის გამგე ა. რაზმაძე
კრ. 504—2—2 საქმის მწარმოებელი (მოწერილია)

რ. ს. ფ. ს. რ.
სახელმწიფო ბანკის
თბილისის კანტორა
აცხადებს,
რომ ბანკის ოპერაციები სწარმოებს
დილის 10 საათიდან
დღის 3 საათამდე.
(კრ. 502 3—2)

დავკარგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული მიცემული 1919 წ. შალვა ანდრიას ძე ველაძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (494—1—1)

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. კრუზენშტეინის ქ. № 4.